



**WIZZ AIR HUNGARY LTD.**

მ გ ზ ა ვ რ თ ა დ ა ბ ა რ გ ი ს ტ რ ა ნ ს კ ო რ ტ ი რ ე ბ ი ს ზ ო გ ა დ ი კ ი რ ო ბ ე ბ ი

მ ა ლ შ ი ა 2020 წ ლ ს 1 ო ვ ლ ს ი დ ა ნ

## ს ა რ ზ ე ვ ი

1. განსაზღვრებები და განმარტებები .....	2
2. გამოყენების სფერო.....	9
3. სატარიფო პირობები და დამატებითი სერვისები .....	10
4. განრიგი .....	10
5. საჰაერო ტრანსპორტირების ხელშეკრულება .....	10
6. დაჯავშნა და ადგილების განაწილება .....	11
7. ტრანსპორტირების სრული ღირებულება, ტრანსპორტირების ღირებულება, გადასახადები, საკომისიოები და სხვა სერვისების მოსაკრებლები .....	16
8. მონაცემთა დაცვა .....	20
9. რეისზე რეგისტრაცია და ჩასხდომა .....	20
10. საბაჟო შემოწმება და უსაფრთხოების კონტროლი .....	24
11. სამგზავრო დოკუმენტები .....	24
12. უარი ტრანსპორტირებაზე.....	25
13. მგზავრების საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული წესები ....	27
14. ბარგი.....	29
15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა Wizz Air-ის მიერ.....	35
16. თანხის დაბრუნება და უფასო მომსახურების მიღების უფლება.....	37
17. პასუხისმგებლობა .....	38
18. დროული უწყება საჩივრების შესახებ, სარჩელის ხანდაზმულობა.....	42
19. ჩარტერული ტრანსპორტირების წესები .....	43
20. კონფლიქტური სიტუაციის ალტერნატიული გადაწყვეტა.....	45
21. კანონმდებლობისა და იურისდიქციის არჩევა.....	45

### 1. განსაზღვრებები და განმარტებები

1.1. მგზავრთა და ბარგის წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების ფარგლებში მოქმედებს ამ მუხლს შემდეგი განსაზღვრებები და განმარტებების წესები:

დამატებითი სერვისები გულისხმობს ნებისმიერ პროდუქტსა და სერვისს, რომელიც შეიძინეთ საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით და რომელსაც უზრუნველყოფს, გთავაზობთ ან ცალკეობით მისამართებში (მაგ., ავტომობილს დაქირავება,

სასტუმროში და ბინავება). ზოგიერთ შემთხვევაში და მატებითი სერვისები შეიძლება წარმოადგენდეს პაკეტს.

ცესიის ადმინისტრაციული მოსაკრებელი: მოსაკრებელი, რომელიც უნდა გადაიხადოთ თითოეულ რეისსა და მგზავრზე, თქვენი პრეტენზიის 14.7.8 და 17.4.9 ქვეპუნქტების შესაბამისად ცესიის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმების დროს ვებგვერდზე მითითებული ოდენობით.

შუალედური გაჩერების შეთანხმებული ადგილი: დაშვების ადგილი, რომელიც მითითებულია ასეთ დამგზავრობის გეგმაში და ჩვენს მონაცემთა ბაზაში და რომელიც არ ითვლება დამგზავრების ან დანიშნულების ადგილად.

ბარგი: გულსხმობს თქვენს საკუთრებას, რომელიც არ გამოირიცხება მგზავრობისას თქვენი რეგისტრირებული ბარგის, არა რეგისტრირებული ბარგის ან პირადი საკუთრების სახით ტრანსპორტირებისთვის.

ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღი: დოკუმენტი, რომელიც გაცემულია მხოლოდ თქვენი რეგისტრირებული ბარგის იდენტიფიკაციის მიზნით და განთავსებულია თქვენს რეგისტრირებულ ბარგზე.

ბარგის მოთხოვნის იარაღი: დოკუმენტი, რომელიც გაცემულია მხოლოდ თქვენი რეგისტრირებული ბარგის იდენტიფიკაციის მიზნით და მიმაგრებულია თქვენს ჩასხდომის ბარათზე.

ჩასხდომის ბარათი: დოკუმენტი, რომელიც (i) გაცემულია სარეგისტრაციო დახლთან თქვენი ჯავშნის კოდის ან მგზავრობის გეგმის და მოქმედი სამგზავრო დოკუმენტების საფუძველზე; ან (ii) ამობეჭდილია თუ ჩამოტვირთულია თქვენ მიერ, ან ნაჩვენებია თქვენს მობილურ მოწყობილობაზე, თუ Wizz Air-ის მობილური აპლიკაციით სარგებლობთ (Passbook ან მსგავსი ფუნქციის მქონე სხვა აპლიკაცია), რეისზე რეგისტრაციის პროცედურის ონლაინ ან მობილური თავისუფალი შედეგად, და რომელიც თვითმფრინავში ჩაჯდომის ნებას გრთავთ.

საინფორმაციო ცენტრი: მომხმარებელთა სატელეფონო მომსახურება, რომლის მოქმედი ტელეფონის ნომრებიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

გაუქმების მოსაკრებელი: მოსაკრებელი, რომელიც უნდა გადაიხადოთ ჯავშნის 6.5.1 ქვეპუნქტის შესაბამისად გაუქმების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმების დროს ვებგვერდზე მითითებული ოდენობით.

ჩართული შეთანხმება: ჩართული ტრანსპორტირების ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების შესაბამისად.

რეგისტრირებული ბარგი: თქვენი ბარგი, რომელსაც ჩავიბარებთ ტრანსპორტირების მიზნით და რომლისთვისაც ჩაბარების

მომენტში გავცემთ ბარგის საიდენტიფიკაციო და ბარგის მოთხოვნის იარაღებს.

რეისზე რეგისტრაციის ბოლო ვადა: დროის ლიმიტი, რომელიც მითითებულია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადპირობებში და რომლის ფარგლებშიც უნდა დაასრულოთ რეისზე რეგისტრაციის ფორმალური პროცედურები და მიიღოთ თქვენი ჩასხდომის ბარათი.

სამოქალაქო კოდექსი: უნგრეთის 2013 წლის კანონი №V. სამოქალაქო კოდექსის შესახებ

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი: უნგრეთის 2016 წლის კანონი №CXXX. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესახებ

ხელშეკრულების პირობები: პირობები, რომლებიც შედის თქვენს მგზავრობის გეგმაში, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადპირობებსა და შეტყობინებაში კონფიდენციალურობის შესახებ.

გადასაჯდომი რეისები: Wizz Air-ის რეისის ორიან მეთისეგმენტი ერთი მიმართულებით, რომლებიც შედის ერთჯავშანში.

ხელშეკრულება (საჰაერო ტრანსპორტირების): ხელშეკრულება საჰაეროგზითმგზავრთა და ბარგის ტრანსპორტირების შესახებ, რომელიც გაფორმებულია თქვენსა და Wizz Air-ს შორის, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და რომლის საფუძველზეც მოვახდენთ თქვენს და თქვენი ბარგის ტრანსპორტირებას გამგზავრების ადგილდან დანიშნულების ადგილმდე. ხელშეკრულება წარმოადგენილია მგზავრობის გეგმითა და ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღით.

კონვენცია: მონრეალს კონვენცია საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მონრეალში 1999 წლის 28 მაისს, მოცემული დროისთვის შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად.

ტრანსპორტირებაში მონაწილე ქვეყნები: ქვეყნები, რომლებშიც მდებარეობს გამგზავრების ადგილი, დანიშნულების ადგილი და შუალედური გაჩერების ნებისმიერი შეთანხმებული ადგილი.

ეკიპაჟი: ავტორიზებული პერსონალი, რომელიც თვითმფრინავის ბორტზე მსახურობს, ესენია პილოტები, ბორტგამცილებლები, ტექნიკური და უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები.

დღე(ები): კალენდარული დღეები, მათ შორის, კვირის შვიდივე დღე; ამასთან, შეტყობინების შემთხვევაში, შეტყობინების გაგზავნის დღე არ უნდა იყოს გათვალისწინებული ბოლო ვადის განსაზღვრისას.

ევროპის ეკონომიკური ზონა (EEA): ევროპის ეკონომიკური ზონა, მისი წევრი ქვეყნების ჩათვლით.

ევროკავშირი: ევროკავშირი, მისი წევრი ქვეყნების ჩათვლით.

დამატებითი ბარგი ბორტზე (საგორებელი ჩანთა): თქვენი ბარგი, გარდა წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებით განმარტებულ რეგისტრირებულ ბარგისა და ხელბარგისა, რომელიც ექვემდებარება სერვისის მოსაკრებლს გადახდას და თანგექნება ბორტზე მთელი მგზავრობის მანძილზე.

საგანგებო გარემოებები: მიზეზები ან/და გარემოებები, რომლებიც ცდება Wizz Air-ის კონტროლს გონივრულ ფარგლებს და რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელი იყო ყველგონივრული ზომის მიღების შემთხვევაშიც კი, მათ შორის (თუმცა ამითარ შემოიფარგლება), სტიქიური უბედურებები; პოლიტიკური არასტაბილურობა; შესაბამისი რეისის განხორციელებასთან შეუთავსებელი მეტეოროლოგიური პირობები; უსაფრთხოების რისკები; გაფიცვები; რეისის უსაფრთხოების მოულოდნელი ხარვეზები და საჰაერო მოძრაობის მმართველების მიერ კონკრეტულ დღეს, კონკრეტულ თვითმფრინავთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებები, რომლებიც განაპირობებს ხანგრძლივ დაგვიანებას ანამ თვითმფრინავის ერთი ან მეტი რეისის გაუქმებას.

ღირებულება: გამგზავრების ადგილდან დანიშნულების ადგილმდე საჰაერო ტრანსპორტირების ღირებულება. ღირებულება მოიცავს გადასახადებსა და საკომისიოებს (აეროპორტის საკომისიოებისა და სახელწიფო მოსაკრებლების ჩათვლით), ხელბარგის ერთი ერთეულს საფასურს, ასევე სხვა სერვისების მოსაკრებელთა მინიმალურ ოდენობას, რომელიც აუცილებელია ჯავშნისთვის.

სხვა სერვისების მოსაკრებლები/სერვისების მოსაკრებლები: მოსაკრებლები, რომლებიც გადასახდელა საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სერვისებისთვის, რომლებიც მითითებულია ჩვენს ვებგვერდზე, გარდა ადგილს რეზერვაციის მოსაკრებლსა, ჯავშნის გაუქმების მოსაკრებლსა, WIZZ Discount Club-ის მოსაკრებლსა და დამატებითი სერვისების მოსაკრებლსა.

ტრანსპორტირების ზოგადი პირობები: დებულებები, რომლებიც ეხება Wizz Air-ის მიერ მგზავრთა და ბარგის საჰაერო გზით ტრანსპორტირებას, როგორც ეს გაწერილია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგად პირობებში.

მარეგულირებელი კანონმდებლობა: უნგრეთის კანონები, რომლებიც ძალშია შესაბამის დროს მოქმედი რედაქციით.

სახელწიფო და დენილება /და დენილება: უნგრეთის მთავრობის და დენილება №25/1999. (II.12.) მგზავრთა საჰაერო გზით ტრანსპორტირების წესების შესახებ, მოქმედი რედაქციით.

ხელბარგი: თქვენი ბარგი, გარდა წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებით განმარტებულ რეგისტრირებულ ბარგისა, რომლის საფასურიც შედის

ღირებულებაში და რომელიც რჩება თქვენი მეტაფორების ქვეშ მთელი მგზავრობის მანძილზე.

IATA: საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია.

ჩვილი: ორ წლამდე ასაკის ბავშვი, რომელიც მგზავრობის თარიღისთვის არ არის ორკვირაზე ნაკლები ასაკის.

მგზავრობის გეგმა: (i) დოკუმენტი, რომელიც გაიცემა მგზავრებზე Wizz Air-ისთვის ტრანსპორტირების სრული ღირებულების გადახდის შემდეგ ან (ii) მგზავრის მიერ ჯავშანში რაიმე ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელიც გაიცემა მგზავრზე Wizz Air-ის მიერ ამგვარი ცვლილებების მიღების დასტურად. მგზავრობის გეგმა შეიცავს მგზავრის სახელს და რეისის დეტალებს, როგორცაა გამგზავრების ადგილი, დანიშნულების ადგილი და შუალედური გაჩერების შეთანხმებული ადგილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამგზავრებისა და ჩაფრენის დროები; ასევე, მითითებებს ხელშეკრულების პირობებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ. თუ დაჯავშნა განხორციელდება ჩვენი საინფორმაციო ცენტრის საშუალებით, თქვენ შეგატყობინებენ ჯავშნის კოდს, ხოლო ფაქსით, ელფოსტით ან ფოსტით გამოგეგზავნებათ მგზავრობის გეგმა, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების შესაბამისად.

შეზღუდული პასუხისმგებლობის აღმნიშვნელი იარაღი: დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულია შეზღუდული პასუხისმგებლობა ჩვენ მიერ ტრანსპორტირებისთვის მიღებულ რეგისტრირებულ ბარგზე, რომელიც არის რაიმე სახით დაზიანებული, არ შეესაბამება მოთხოვნებს ზომის ან მდგომარეობის მხრივ, ან შეიცავს მყიფე ნივთებს, და გაიცემა ამგვარი ბარგის ჩაბარების მომენტში. იარაღზე მითითებულია შემოადნიშნული დეფექტები და მახასიათებლები.

რეისზე დაგვიანების მოსაკრებელი: გულისხმობს მოსაკრებელს, რომელიც უნდა გადაიხადოთ პუნქტში 9.16 აღწერილ გარკვეულ შემთხვევებში, თუ დაგვიანებთ რეისზე და მოისურვებთ, გადაინაცვლოთ ჩვენ მიერ შესრულებულ სხვა რეისზე. მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია ჩვენს ვებგვერდზე.

პაკეტი/პაკეტური შემოთავაზება: გულისხმობს პაკეტს, პაკეტური შემოთავაზებების შესახებ დადგენილების მე-2 პუნქტის § 6-ის შესაბამისად, მე-13 პუნქტის გამოკლებით, რა შემთხვევაშიც Wizz Air ითვლება პაკეტური შემოთავაზების ორგანიზატორად ან საცალო მოვაჭრედ. თუ არჩეული და მატებითი სერვისების კომბინაცია წარმოადგენს პაკეტს, Wizz Air ამის შესახებ გაცნობებთ და ჯავშნისას.

დადგენილება პაკეტური შემოთავაზებების შესახებ: უნგრეთის მთავრობის დადგენილება №472/2017. (XII.28) სამოგზაურო სერვისების თაობაზე გაფორმებული შეთანხმებების და კერძოდ, პაკეტური შემოთავაზებებისა და დაკავშირებული სამოგზაურო ღონისძიებების თაობაზე გაფორმებული შეთანხმებების წესების შესახებ.

მგზავრი ან თქვენ (ამ ნაცვალსახელს ყველ ფორმის ჩათვლით):  
პირი, რომელიც მგზავრობის გეგმაში მითითებულია მგზავრად და  
ჩვენი თანხმობით გადაჰყავს თვითმფრინავს ან უნდა  
გადაიყვანოს თვითმფრინავში.

მომრაობის შეზღუდვის ან განსაკუთრებული დახმარების  
საჭიროების მქონე მგზავრი: გულისხმობს ნებისმიერ მგზავრს,  
რომელსაც დაქვეითებული აქვს მომრაობის უნარი ფიზიკური  
უუნარობის (სენსორული ან ლოკომოტორული), გონებრივი  
და რღვევის, ასაკის, ავადმყოფობის, ან სატრანსპორტო  
საშუალებით სარგებლობის შეზღუდული შესაძლებლობის  
გამომწვევი ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო და რომლის  
მდგომარეობაც საჭიროებს განსაკუთრებული ყურადღებას.

პირადი საკუთრება: გულისხმობს ნივთებს, რომლებიც  
ჩამოთვლილია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი  
პირობების ქვეპუნქტში 14.1.4 და რომლებიც შეგიძლიათ  
არარეგისტრირებულბარგთან ერთად უფასოდ იტანოთ ბორტზე.

გამგზავრების ადგილი: აეროპორტი, რომელიც მითითებულია  
საჰაერო ტრანსპორტირების საწყის პუნქტად მგზავრობის  
გეგმასა და ჩვენს მონაცემთა ბაზაში.

დანიშნულების ადგილი: აეროპორტი, რომელიც მითითებულია  
საჰაერო ტრანსპორტირების დანიშნულების პუნქტად  
მგზავრობის გეგმასა და ჩვენს მონაცემთა ბაზაში.

შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ: ჩვენი  
ვებგვერდის დებულება, რომელიც არეგულირებს თქვენს ან  
ჯავშნის გამფორმებელ პირის მიერ Wizz Air-ის თვის მიწოდებულ  
პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

ნორმატიული აქტი №261: ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს  
ნორმატიული აქტი (EC) №261/2004, მოცემული დროისთვის შეტანილი  
ცვლილებებით და დამატებებით.

ჯავშნის გამფორმებელი პირი ნიშნავს თანხმობის ასაკს  
მიღწეულ სრულდქმედუნარიან პირს ან იურიდიულ პირს,  
რომელიც მოქმედებს მგზავრის აგენტის სახელთ და ჯავშნას  
ახორციელებს თავის სახელზე და თავისი სახელთან/და სხვა  
მგზავრების სახელზე და მათი სახელთ, და კისრულობს  
ვალდებულებებს, რომლებიც გაწერილია ქვეპუნქტებში 6.1.4-6.1.7.  
დამჯავშნავი შეიძლება იყოს, აგრეთვე, ნებისმიერი პირი ან  
კომპანია, რომელიც ჩვენთან იხდის მგზავრისა და ტურისტული  
სააგენტოების გეგმაში მითითებულ მთლიან ღირებულებას.

განრიგი: ცალკეული რეისების ჩაფრენისა და გამგზავრების  
დროები, რომლებიც განსაზღვრულია Wizz Air-ის მიერ და  
გამოქვეყნებულია ვებგვერდზე.

SDR: სპეციალური სასესხო უფლება, რომელიც განსაზღვრულია  
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. (ამ სავალუტო ერთეულს

მიმდინარე ღირებულება შეგიძლიათ იხილოთ საერთაშორისო საავიატო ფონდის ვებგვერდზე: [www.imf.org](http://www.imf.org) და მსხვილი გაზეთების ფინანსურ გვერდებზე).

ადგილს რეზერვაციის მოსაკრებელი: მოსაკრებელი, რომელიც უნდა გადაიხადოთ ხელშეკრულების გაფორმებისას ვებგვერდზე მითითებული ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ Wizz Air იცავს თავის უფლებას, გააუქმოს თქვენი ჯავშანი წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების შესაბამისად; ან თუ თქვენ აუქმებთ ჯავშანს ქვეპუნქტში 6.5.2. გაწერილს შესაბამისად.

სერვისის მომწოდებელი: მესამე მხარის მომწოდებელი, რომელიც გათვალისწინებულია უზრუნველყოფს, ხელს უწყობს ან საცალოდ ყიდის დამატებით სერვისებს, მათ შორის, როცა ისინი უზრუნველყოფილია სხვა მესამე მხარესთან ერთად ან მისი სახელით.

სატარიფო პირობები: ტრანსპორტირების სრულღირებულებასთან დაკავშირებული წესები და პირობები, რომლებიც შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე, და ჩვენ მიერ მოწოდებული სხვადასხვა სერვისის პირობები, მოსაკრებლები და საკომისიოები; ასევე Wizz Air-ის სხვა ნორმატიული აქტები. ჩვენი პრეისკურანტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე შემდეგი ბმულის მეშვეობით: <https://wizzair.com/ka/ge/information-and-services/prices-discounts/all-services-fees#/>.

ტრანსპორტირების სრული ღირებულება: Wizz Air-ის მიერ თქვენთვის მოწოდებული ყველ სერვისის ფასი, რომელიც შედის საჰაერო ტრანსპორტირების ღირებულება და სხვა სერვისების მოსაკრებლები ან თქვენ მიერ ვებგვერდზე შეძენილ ნებისმიერი სხვა სერვისის მოსაკრებლები.

სამგზავრო დოკუმენტები: დოკუმენტები, რომლებსაც მოითხოვს ტრანსპორტირების მონაწილე ქვეყნები საზღვრის კვეთისთვის, ტრანზიტისთვის ან/და კონკრეტულ სახელმწიფოში გაჩერებისთვის.

არარეგისტრირებული ბარგი: თქვენი ბარგი, გარდა წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებით განმარტებული რეგისტრირებული ბარგისა, რომელიც თან გექნება თბორტზე მთელი მგზავრობის მანძილზე.

ვებგვერდი: [wizzair.com](http://wizzair.com)

ჩვენ (ამ ნაცვალსახელს ყველ ფორმის ჩათვლით) ან Wizz Air: გულისხმობს Wizz Air Hungary Ltd.-ს, მისი თანამშრომლების, მოსამსახურეებისა და აგენტების ჩათვლით.

1.2. მუხლების, პუნქტებისა და ქვეპუნქტების დასახელებები და სათაურები გამოყენებულია მხოლოდ მოხერხებულობის მიზნით და გავლენას არ მოახდენს ტრანსპორტირების წინამდებარე ზოგადი პირობების განმარტებაზე.



1.3. ნებისმიერი ფრაზა, რომელიც შეიცავს სიტყვებს „ჩათვლით“, „მოიცავს“, „კერძოდ“ ან მსგავს გამონათქვამებს, ასრულებს განმარტებით ფუნქციას და არ ზღუდავს მანამდე გამოყენებულ სიტყვების მნიშვნელობას.

## **2. გამოყენების სფერო**

### **2.1. ზოგადი დებულებები**

- 2.1.1. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების დებულებები შეადგენს ხელშეკრულების ნაწილს, რომელიც ძალშია მგზავრობის გეგმის გაცემის თარიღისთვის და ვრცელდება ხელშეკრულებაზე, თუ თქვენი მგზავრობის გეგმაში Wizz Air მითითებულია გადაყვანა და.
- 2.1.2. თუ ჩვენგან შეიძინეთ პაკეტური შემოთავაზება, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების დებულებების გარდა მოქმედებს პაკეტური შემოთავაზებების ზოგადი პირობებიც.
- 2.1.3. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების გარდა, სერვისების ყოველმომწოდებელს აქვს საკუთარი წესები და პირობები, რომლებიც ვრცელდება მის პროდუქტებზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემენილ დამატებითი სერვისები წარმოადგენს პაკეტურ შემოთავაზებას, ყოველსერვისზე და პროდუქტზე ვრცელდება საკუთარი წესები და პირობები. ჩვენთან ან სერვისის მომწოდებელთან რაიმე ოპერაციის შესრულებამდე გაეცანით როგორც წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგად პირობებსა და ყველ დაკავშირებულ ინფორმაციასა თუ შეტყობინებას, ისე შესაბამისი სერვისის მომწოდებლის მიერ მოწოდებული ნებისმიერი დამატებითსერვისის პირობებს (შესაბამისად).

### **2.2. ჩართული ტრანსპორტირება**

- 2.2.1. თუ ტრანსპორტირება ხორციელდება ჩართული შეთანხმების შესაბამისად, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობები ვრცელდება მხოლოდ იმ ფარგლებში ან იმ შესწორებებით, რომლებიც განსაზღვრულია ჩართულბილეთში ან ჩართული ტრანსპორტირების წესებში (იხ. მუხლი 19).

### **2.3. სამართლებრივი შეუსაბამობა**

თუ წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება ნებისმიერი მოქმედი საკანონმდებლო ნორმის სავალდებულო დებულებებს, უპირატესობა ენიჭება მოქმედი კანონს. ამის მიუხედავად, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების სხვა დებულებები ძალში რჩება.

### **2.4. ტრანსპორტირების ზოგადი პირობები Wizz Air-ის წესებზე**

#### **უპირატესობა**

თუ წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგად პირობებში სხვაგვარად არ არის მითითებული, იმ შემთხვევაში, თუ ტრანსპორტირების ზოგადი პირობები და იმ ცალკეული სუბიექტების წესები, რომლებთანაც შეიძლება საქმე გვქონდეს, ერთმანეთის შეუსაბამოა, უპირატესობა ძალ ექნება წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადპირობებს.

**2.5. დამატებითი სერვისების პირობები, რომლებიც არ არის პაკეტური შემოთავაზების ნაწილი**

თუ დაჯავშნისას შეიძენთ დამატებით სერვისებს, ან დაჯავშნის დასრულების შემდეგ დამატებით თქვენს ჯავშანს დამატებით სერვისებს, რომლებიც არ არის პაკეტური შემოთავაზების ნაწილი, ნებისმიერი დამატებითი სერვისისთვის ხელშეკრულება გაფორმდება თქვენსა და შესაბამისი სერვისების მომწოდებლებს შორის, ხოლო ჩვენ, აღნიშნულ დამატებითი სერვისების უზრუნველყოფის მხრივ, თქვენ წინაშე არავითარი ვალდებულება არ გვექნება. დამატებითი სერვისების ფასს განსაზღვრავს შესაბამისი სერვისის მომწოდებელი. თუ დაეთანხმებით რომელიმე ფასიან შემოთავაზებას და შეასრულბთ გადახდას ჩვენი ვებგვერდის საშუალებით, ეს მოგვცემს უფლებას, გადავუხადოთ დამატებითი სერვისების სრული ღირებულება მომწოდებელს თქვენი სახელთ (შესაბამის შემთხვევაში). ზოგიერთ შემთხვევაში, დამატებითი სერვისების მოსაკრებელს უხდით უშუალოდ სერვისების მომწოდებელს.

**3. სატარიფო პირობები და დამატებითი სერვისები**

- 3.1. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევცვალოთ ჩვენი სატარიფო პირობები. მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნულ პირობების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.
- 3.2. ჩვენი თანამშრომლები, მოსამსახურეები და აგენტები ვალდებული არიან, დაიცვან ჩვენი სატარიფო პირობები.
- 3.3. შეძენილ სერვისზე გავრცელება ის სატარიფო პირობები, რომლებიც ძალში იქნება მისი შეძენისას.
- 3.4. თუ აეროპორტში ბილეთების გაყიდვის აგენტთან გააფორმებთ ჯავშანს ან/და შეიძენთ საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ რომელიმე სერვისს, რომელიც მითითებულია ჩვენს ვებგვერდზე, შესაბამისი მომსახურების მოსაკრებლს გარდა, შეიძლება მოგიწიოთ აგენტისთვის დამატებითი მოსაკრებლს გადახდა. ინფორმაცია ჩვენი აგენტის მიერ დარიცხულ დამატებითი მოსაკრებლს შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ აგენტთან, აეროპორტში.

**4. განრიგი**

ჩვენს განრიგში ან სხვაგან მითითებულ გამგზავრებისა და ჩაფრენის დროების დაცვა არ არის გარანტირებული და არ წარმოადგენს ჩვენსა და თქვენს შორის გაფორმებულ ტრანსპორტირების ხელშეკრულების ნაწილს. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევიტანოთ ცვლილებები. ამგვარი ცვლილების შეტანა ხორციელდება მე-15 მუხლს შესაბამისად.

**5. საჰაერო ტრანსპორტირების ხელშეკრულება**

**5.1. საჰაერო ტრანსპორტირების ხელშეკრულების გაფორმება და მისი შინაარსი**

ტრანსპორტირების ხელშეკრულება ფორმდება ტრანსპორტირების სრული ღირებულების გადახდისა და ჩვენ მიერ მგზავრობის გეგმის გაცემის შემდეგ (დადგენილების §5-ის შესაბამისად). თქვენსა და ჩვენს შორის გაფორმებულ საჰაერო ტრანსპორტირების ხელშეკრულება ზევრცელება ხელშეკრულების პირობები.

## 5.2. მარშრუტის გეგმა

- 5.2.1. მგზავრობის გეგმა (ბარგის ტრანსპორტირების შემთხვევაში, ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღი) ადასტურებს საჰაერო ტრანსპორტირების ხელშეკრულების გაფორმებას თქვენსა და ჩვენს შორის და ცალკე ბილეთი აღარ გაიცემა.
- 5.2.2. ჩვენ მიერ განხორციელება მხოლოდ იმ პირ(ებ)ის (ან უმგზავრ(ებ)ის) ტრანსპორტირება, რომლებიც მითითებულია მგზავრობის გეგმაში. თუ რეისზე რეგისტრაციისას თან არ გექნებათ მგზავრობის გეგმა, თქვენ უნდა წარმოადგინოთ თქვენი ჯავშნის კოდი. რეისზე რეგისტრაციისას აუცილებელია მოქმედი სამგზავრო დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა.
- 5.2.3. თუ თქვენს ჯავშანში შეიტანთ რაიმე ცვლილებას, რომელიც ნებადართულია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებით, ჩვენ გავცემთ მგზავრობის ახალ გეგმას თქვენ მიერ შეტანილ ცვლილებების დასტურის ნიშნად. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების ნაწილად ჩაითვლება მგზავრობის ახალ დაცემულ გეგმა მისი გაცემის მომენტიდან.
- 5.2.4. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს საინფორმაციო ცენტრს და მოითხოვოთ თქვენი მგზავრობის გეგმის ან თქვენი ჯავშნის კოდის ჩანაცვლება (ხელახალ გამოგზავნა). ამ სერვისისთვის Wizz Air-მა შეიძლება დაგაკისროთ მოსაკრებელი.

## 6. დაჯავშნა და ადგილების განაწილება

### 6.1. დაჯავშნა

- 6.1.1. დაჯავშნა შესაძლებელია ვებგვერდის საშუალებით, Wizz Air-ის მობილური აპლიკაციით, ჩვენს საინფორმაციო ცენტრში და რეკვირთან ავიასალროში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 6.1.2. დაჯავშნა ვერ დასრულდება მისი განხორციელების მომენტში მთლიანი ღირებულების გადახდის გარეშე, თუაქ სხვაგვარად არ არის მითითებული.
- 6.1.3. თქვენ უნდა მოგვაწოდოთ საკონტაქტო ინფორმაცია, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ დროს შევძლებთ თქვენთან დაკავშირებას (ტელეფონის/მობილურის ნომერი და ელფოსტის მისამართი). თქვენ ხართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ მოგვაწოდოთ ელფოსტის სწორი მისამართი, რომელზეც გაქვთ წვდომა და რომელსაც რეგულარულად ამოწმებთ. თქვენ ხართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ მოგვაწოდოთ სწორი ტელეფონის ნომრები, ქვეყნისა და რეგიონის კოდთან ერთად, და რომ თქვენთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დროს, ჯავშანში მითითებულ ტელეფონის ერთნომერზე მაინც. Wizz Air არ იქნება პასუხისმგებელი ზარალზე, რომელიც გამოწვეული იქნება შემოადნობილი მოთხოვნების თქვენ მიერ შეუსრულებლობით.
- 6.1.4. თუ ჯავშნის გამფორმებელი პირი არ არის მგზავრი, ან თუ ის თანამგზავრებისთვისაც აფორმებს ჯავშანს, მაშინ ის უნდა დაეთანხმოს წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადპირობებს ჯავშანში მითითებული მგზავრ(ებ)ის ან თანამგზავრ(ებ)ის სახელთ.
- 6.1.5. გარდა ამისა, თუ ჯავშნის გამფორმებელი პირი არ არის მგზავრი, ხოლო თქვენს ჯავშანში მითითებულია მისი საკონტაქტო დეტალები, თქვენ თანახმა ხართ, რომ ჯავშნის გამფორმებელი პირი:

(a) პასუხისმგებელი იქნება, მიიღოს და გადასცეს ჩვენგან ან ჩვენი სერვისების მომწოდებლისგან ჯავშანთან დაკავშირებით გამოგზავნილ ყველ შეტყობინება /კორესპონდენცია (მათ შორის, ცვლუბების, ჩასწორებებისა და გაუქმების შესახებ) ყველ მგზავრს, რომელც მითითებულა ჯავშანში; და

(b) გადასცემს მგზავრებს Wizz Air-ის მიერ ჯავშნის გამფორმებელ პირისთვის გაგზავნილ ყველ შეტყობინებას, რომელც ეხება ჯავშანს.

გარდა ამისა, თქვენ თანახმა ხართ, რომ თქვენი მხრიდან სხვაგვარი მითითებების არარსებობის შემთხვევაში, ჩვენ ჩავთვლოთ, რომ ჯავშნის გამფორმებელ პირს აქვს ყველ მგზავრის თანხმობა, მიიღოს ნებისმიერის სახის კომპენსაცია, მათ შორის, ავიაბილეთების ღირებულების დაბრუნებისას ან სხვა ხარჯების ანაზღაურებისას, რომლებიც დაკავშირებულა აღნიშნულ ჯავშანთან.

6.1.6. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების მიღებით ჯავშნის გამფორმებელი პირი ადასტურებს და ეთანხმება, რომ ნებისმიერი პერსონალური მონაცემის ჩვენთვის მოწოდება ხდება კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინებაში აღწერილ მიზნებისთვის, ხოლო ჯავშნის გამფორმებელი პირის სახელთ ჩვენთვის საკონტაქტო ინფორმაციის მოწოდებითა და ჯავშნის გამფორმებელი პირისთვის თქვენი სახელთ მოქმედების უფლებამოსილების მინიჭებით, თქვენ თანახმა ხართ, რომ აღნიშნულ საკონტაქტო ინფორმაცია ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნება მომდევნო კორესპონდენციაში ჩვენსა და ჯავშნის გამფორმებელ პირს ან ჩვენს სერვისების მომწოდებელს შორის. თქვენ ვალდებულ ხართ, მიიღოთ ჯავშნის გამფორმებელი პირის ნებართვა ჩვენთვის მისი საკონტაქტო ინფორმაციის მოწოდების თაობაზე, უზრუნველყოთ საკონტაქტო ინფორმაციის სისწორე და დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ მისი ცვლუბის შემთხვევაში.

6.1.7. თუ და ჯავშნას ახორციელებს მესამე მხარე (მათ შორის, და ჯავშნის სისტემების მემვეობით), მესამე მხარე (მაგ., ტურისტული აგენტი) იქნება ჯავშნის გამფორმებელი პირი. ჯავშნის გამფორმებელი პირი ვალდებულია, მოგაწოდოთ თქვენს ჯავშანთან დაკავშირებულ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, თუმცა ამით არ შემოიფარგლება, ტრანსპორტირების სრული ღირებულების შემადგენლებისა და შესაბამისი თანხების შესახებ).

6.1.8. თქვენ უნდა მოგვაწოდოთ თქვენი სრული სახელი, როგორც ის მითითებულა მგზავრობისას გამოყენებულს ამგზავრო დოკუმენტში. თუ ამას ვერ მოახერხებთ და ჯავშნისას ან მის შემდეგ 2 საათის განმავლობაში ჩვენი საინფორმაციო ცენტრის საშუალებით, მგზავრის სახელს შესწორებისთვის მოგიწევთ სახელს შეცვლას მოსაკრებლს გადახდა, რომლის ოდენობაც შეგიძლია თშეიტყოთ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან.

## **6.2. და ჯავშნის მოთხოვნები**

6.2.1. თუ განსაკუთრებულ დახმარება გჭირდებათ (მათ შორის, თუმცა ამით არ შემოიფარგლება, დამხმარე ძალის ტრანსპორტირება), თქვენ უნდა შეგვატყობინოთ თქვენი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების ან მოძრაობის შეზღუდვის და

გადაადგილების ტიპის ან სხვა დამხმარე საშუალების შესახებ, რომელიც გჭირდება თან რომლის ტრანსპორტირებაც გასურთ, ასევე აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ, თქვენი რეისის გამგზავრების დრომდე 48 საათითა დრე, რისთვისაც უნდა დარეკოთ ჩვენი საინფორმაციო ცენტრის სპეციალურ ტელეფონის ნომრებზე ან მოგვწეროთ სპეციალურ ელფოსტის მისამართზე. ტელეფონის ნომრისა და ელფოსტის მისამართის გასაგება დეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს.

6.2.2. ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება, თუ რაიმე სერიოზული ან გადამდები დაავადება, ან სხვა ისეთი მდგომარეობა გაქვთ, რომელიც სამედიცინო მეთვალყურეობას საჭიროებს, თქვენი პასუხისმგებლობაა გაიაროთ სამედიცინო კონსულტაცია იმის თაობაზე, თუ რამდენად უსაფრთხო იქნება თქვენთვის თვითმფრინავით მგზავრობა. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების თანახმად, ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი თვითმფრინავით მგზავრობისას რაიმე სახის უბედურ შემთხვევაზე, თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე ან თქვენს გარდაცვალებაზე, რომელიც გამოწვეული იქნება ექიმთან კონსულტაციაზე უარი თან მისი სამედიცინო რეკომენდაციების და უცვლელით.

6.2.3. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მოვითხოვოთ სამედიცინო ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ თქვენთვის დასაშვებია თვითმფრინავით მგზავრობა და რომელშიც ექიმი ცალსახად გრთავთ თვითმფრინავით მგზავრობის ნებას, ქვეკუნქტი 6.2.1 მითითებული ყველ შემთხვევისას და ნებისმიერი სხვა შემთხვევისას, როცა გონივრული ეჭვი გვექნება, რომ თქვენთვის თვითმფრინავით მგზავრობა უსაფრთხო იქნება ფრენის განმავლობაში განსაკუთრებული სამედიცინო დახმარების გარეშე. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება მოვითხოვოთ კვალიფიციური ექიმის ან სანიტარის თანხლება. სამედიცინო ცნობა გაცემული უნდა იყოს არა უადრეს ფრენამდე 6 დღისა.

6.2.4. თუ ვერ დააკმაყოფილებთ ქვეკუნქტებში 6.2.1, 6.2.2 და 6.2.3 განსაზღვრულ მოთხოვნებს, ან თუ ჩვენ, ჩვენ მიერ განრიგის შესაბამისად მართულ თვითმფრინავზე, ვერ უზრუნველყოფთ თქვენს სამედიცინო ცნობაში მითითებულ პირობებს, ჩვენ გავაუქმებთ თქვენს ჯავშანსა და ტრანსპორტირებას და აგინაზღაურებთ ტრანსპორტირების ღირებულებას, რომლდაც გამოიქვითება სხვა სერვისების მოსაკრებლად და ადგილს რეზერვაციის მოსაკრებელი.

6.2.5. თუ განსაკუთრებული ბარგის ან პირობითი ტრანსპორტირების ნივთების გადატანა გასურთ, ამის შესახებ უნდა აცნობოთ ჩვენს საინფორმაციო ცენტრს (იხ. პუნქტი 14.4). დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს.

### 6.3. ადგილს მინიჭება

6.3.1. Wizz Air-ში მოქმედებს ადგილების მინიჭების სისტემა. რეისზე რეგისტრაციისას (ონლაინ, მობილური აპით ან აეროპორტში) თქვენ უფასოდ მოგენიჭებათ ადგილი.

6.3.2. თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ აირჩიოთ სხვა ადგილი, რისთვისაც შესაბამისი მოსაკრებელი უნდა გადაიხადოთ  
a) და ჯავშნისას, ან

b) თუ ჯავშანი გააფორმეთ ონლაინ ან Wizz Air-ის მობილური აპლიკაციის საშუალებით; ან გ) აეროპორტში, განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 3 საათითა დრე.

გაითვალისწინეთ, რომ რეისზე რეგისტრაციის შემდეგ წინასწარ არჩეული ადგილს შეცვლ შესაძლებელი იქნება მხოლოდ კონკრეტულად აღიუბზე, რომლებიც მდებარეობს წინა რიგებში ან ფრთებზე გასასვლელუბთან.

6.3.3. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების ფარგლებში ადგილს არჩევის მოსაკრებელი ითვლება სხვა სერვისების მოსაკრებლდ.

6.3.4. არჩეული ადგილს შეცვლ

6.3.4.1. ბორტზე ასვლს შემდეგ, საექსპლუატაციო ან უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე, შეიძლება მოგთხოვონ თქვენთვის მონიჭებული ადგილს შეცვლ. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ დაემორჩილოთ ეკიპაჟის მითითებებს. თუ საჭირო იქნება თქვენ მიერ არჩეული ადგილს შეცვლ, რომელშიც თანხა გადაიხადეთ, თქვენ უფლება გექნებათ, დაიბრუნოთ ადგილს არჩევისთვის გადახდილი მოსაკრებელი.

6.3.5. თუ თვითმფრინავში ასასვლელდ და ადგილს დასაკავებლდ განსაკუთრებული დახმარება გჭირდებათ, გაეცანი თქვენქტს

6.2.1. თუ დაჯავშნისას მიუთითეთ, რომ გაქვთ მოძრაობის შეზღუდვა, შეგიძლიათ აირჩიოთ რეისზე ონლაინ რეგისტრაცია, თუმცა ჩასხდომის ბარათის ამობეჭდას ვერ შეძლებთ. თუ რეისზე ონლაინ რეგისტრაცია აირჩიეთ, ადგილს მისაღებად და უკავშირდით ჩვენს საინფორმაციო ცენტრს, რისთვისაც უნდა და რეკოთ განსაკუთრებული დახმარებისთვის განკუთვნილ ადგილობრივ ტელეფონის ნომერზე, ან გაგზავნოთ თქვენი მოთხოვნა განსაკუთრებული დახმარებისთვის განკუთვნილ ელფოსტის მისამართზე (ტელეფონის ნომრებისა და ელფოსტის მისამართის გასაგებად ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს). ადგილს ამგვარად მონიჭების შემდეგ, შეგიძლიათ ამობეჭდოთ ჩასხდომის ბარათი. თუ რეისზე ონლაინ რეგისტრაცია აირჩიეთ და გაიარეთ რეგისტრაცია, თუმცა ადგილს მისაღებად არ დაკავშირებიხართ ჩვენს საინფორმაციო ცენტრს, თქვენ უნდა მიხვიდეთ სარეგისტრაციო დახლთან აეროპორტში, სადაც მოგენიჭებათ ადგილ და უფასოდ ამოგობეჭდავენ ჩასხდომის ბარათს (იხ. მუხლ 9).

6.3.6. ადგილს მონიჭების გამონაკლისი შემთხვევები

6.3.6.1. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ზოგიერთი ადგილ არ არის განკუთვნილ ყველ მგზავრისთვის. ეს არის ადგილები, რომლებიც მდებარეობს თვითმფრინავის წინა რიგში, ფრთებზე გასასვლელუბთან და ბოლო რიგში. მაგალითად, თუ ბავშვთან ერთად მგზავრობთ, თქვენ ვერ აირჩევთ ადგილს, რომელიც მდებარეობს წინა რიგში ან ფრთებზე გასასვლელუბთან.

6.3.7. მგზავრის მიერ ჯავშნის გაუქმება ან შეცვლ

6.3.7.1. თუ გსურთ, ჯავშანში შეიტანოთ რაიმე ცვლლება 6.4 პუნქტის შესაბამისად, ან გააუქმოთ თქვენი ჯავშანი 6.5 პუნქტის შესაბამისად, მონიჭებულ ადგილუბში თქვენ მიერ გადახდილი მოსაკრებლები არანაზღაურდება და იმოქმედებს 6.4 პუნქტის ან 6.5 პუნქტის (შესაბამისად) პირობები.

6.3.8. ცვლლება Wizz Air-ის მიერ

6.3.8.1. თუ (i) Wizz Air შეცვლს თქვენს მგზავრობის გეგმაში მითითებულ მარშრუტს ან რეისის განრიგით გათვალისწინებულ დროს /თარიღს

პუნქტი 15.1-ის შესაბამისად; ან (ii) თქვენი რეისი Wizz Air-ის მიერ გაუქმდება ან გადაიდება 5 საათზე მეტი ხნით და თქვენ ჯავშანში დამატებული გაქვთ ფასიანი ადგილი; და აღნიშნულს გამო აირჩევთ: ა) თქვენი ჯავშნის გაუქმებას, თქვენი აგინაზღაურდება თარეული ადგილი და დახდილი მოსაკრებელი; ბ) თქვენი რეისის მარშრუტის შეცვლას, ჩვენ გადავიტანთ თარეული ადგილს ხელხელ და ჯავშნილ რეისზე ან მოგანიჭებთ სხვა ადგილს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თქვენ შემლბთ თარეული ადგილისთვის გადახდილი მოსაკრებლის მთლიანი ოდენობის გამოყენებას ხელხელ და ჯავშნილ რეისზე ადგილს ასარჩევად და შესაძენად იმ ადგილს ნაცვლდ, რომელიც წინასწარ მოგენიჭება თახალ რეისზე; ან თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, ჩვენ აგინაზღაურებთ თახას, რომელიც თარეული ადგილისთვის გქონდათ გადახდილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, და უკავშირდით ჩვენს საინფორმაციო ცენტრს.

**6.4. მგზავრის მიერ ჯავშნის შეცვლა**

- 6.4.1. მგზავრობის გეგმაში მითითებული ჯავშნის გადატანა ან შეიცვალ შესაძლებელია მხოლოდ ქვემოთ განსაზღვრული გზით.
- 6.4.2. თუ გსურთ თქვენს მგზავრობის გეგმაში მითითებული რეისის დროის ან მარშრუტის შეცვლას, შესაბამისი ცვლილებები უნდა შეიტანოთ ჩვენი ვებგვერდის ან საინფორმაციო ცენტრის საშუალებით, თქვენს ჯავშანში მითითებული პირველი სეგმენტის განრიგის მიხედვით გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 3 საათით ადრე. თუ თქვენს ჯავშანში მითითებულია მარშრუტის ერთზე მეტი სეგმენტი, პირველი სეგმენტის დაწყების შემდეგ მარშრუტის შეცვლას უფლება აღარ გქონებათ. თუ დაჯავშნილი გაქვთ ორი გზა, მარშრუტის ცვლილება უნდა განხორციელდეს ორივე სეგმენტში (მაგ., თუ გამგზავრების ადგილი ან დანიშნულების ადგილი შეიცვლება ერთ სეგმენტში, ის მეორეშიც უნდა შეიცვალოს).
- 6.4.3. თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება ჩვენთან, თქვენ ვალდებული ხართ, გადაიხადოთ რეისის შეცვლას მოსაკრებელი და სხვაობა თავდაპირველდაახალდირებულიას შორის (მათშორის, ყველ ცვლილებისთვის გადასახადების, საკომისიოებისა და სხვა სერვისების მოსაკრებლების მხრივ). თუახალ მთლიანი დირებულია საწყისზე ნაკლები იქნება, ანაზღაურება არ გეკუთვნით, გარდა დახალ გადასახადებისა და დანარცხებისა.
- 6.4.4. თუ გსურთ მგზავრის სახელს შეცვლას, ცვლილებები უნდა შეიტანოთ ჩვენი ვებგვერდის ან საინფორმაციო ცენტრის საშუალებით, თქვენი ჯავშანში მითითებული მარშრუტის პირველი სეგმენტის განრიგის მიხედვით გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 3 საათით ადრე. ამასთანავე, შეიძლება საჭირო იყოს სახელს შეცვლას მოსაკრებლის გადახდა, რომლის ოდენობის გასაგებადაც შეგიძლიათ ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს ან დარეკეთ ჩვენს საინფორმაციო ცენტრში. სახელი იცვლება ერთდროულად მარშრუტის ყველ სეგმენტში, რომელიც მითითებულია ჯავშანში და მგზავრობის გეგმაში.
- 6.4.5. თუ ჯავშანს ზემოაღნიშნული წესით შეცვლთ, ჩვენ მოგაწვდით მგზავრობისახალგეგმას, რომელიც მითითებული იქნება თქვენ მიერ შეტანილი ცვლილებები, ხოლო მგზავრობისახალი გეგმის გაცემის მომენტიდან ტრანსპორტირების ხელშეკრულების ნაწილი გახდება მგზავრობისახალი, შეცვლილი გეგმა.

**6.5. მგზავრის მიერ ჯავშნის გაუქმება**

- 6.5.1. ჯავშნის გაუქმება შესაძლებელია განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს თოთხმეტი (14) დღით ადრე. თქვენ უფლება გაქვთ, დაიბრუნოთ ტრანსპორტირების სრული ღირებულება, რომ ლიდა ნაც გამოიქვითება ჯავშნის გაუქმების მოსაკრებელი.
- 6.5.2. თუ ჯავშანს გააუქმებთ განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე თოთხმეტი (14) დღის განმავლობაში, თქვენ აგინაზღაურდებათ ტრანსპორტირების სრული ღირებულება, რომ ლიდა ნაც გამოიქვითება სხვა სერვისების მოსაკრებლები და ადგილს რეზერვაციის მოსაკრებელი.
- 6.5.3. თქვენს ჯავშანში მითითებულ რეისის განრიგით გათვალისწინებული გამგზავრების დრომდე ერთი თვის ფარგლებში ოჯახის წევრის (დედა, მამა, ბებია, პაპა, შვილი, შვილიშვილი, და, ძმა, ცოლი, ქმარი, სამოქალაქო პარტნიორი) გარდაცვალების შემთხვევაში, აღნიშნული გარდაცვალებიდან 1 თვის განმავლობაში თქვენს მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, ჩვენ გავაუქმებთ თქვენს ჯავშანს და აგინაზღაურებთ მთლიან ღირებულებას ტრანსპორტირების მოცემულ ნაწილს თვის, რომ ლიდა ნაც არ გისარგებლათ, იმ პირობით, რომ თქვენ წარმოადგენთ გარდაცვალების მოწმობას ან მისასლს მოთხოვნის გაკეთებიდან 7 დღის განმავლობაში.
- 6.5.4. თუ Wizz Air შეცვლის თქვენს მგზავრობის გეგმაში მითითებულ მარშრუტს ან რეისის განრიგით გათვალისწინებულ დროს 15.1 პუნქტის შესაბამისად, ამოიღებს შუალედური გაჩერების შეთანხმებულადგილს, ან დაამატებს გაჩერების ახალადგილს, თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ ხელშეკრულება და უფლება გექნებათ, მოითხოვოთ ტრანსპორტირების სრული ღირებულების ანაზღაურება.

**7. ტრანსპორტირების სრული ღირებულება, ტრანსპორტირების ღირებულება, გადასახადები, საკომისიოები და სხვა სერვისების მოსაკრებლები**

**7.1. ტრანსპორტირების სრული ღირებულება და ტრანსპორტირების ღირებულება**

- 7.1.1. თუ Wizz Air-ის მიერ ცალსახად სხვაგვარად არ არის მითითებული, ტრანსპორტირების სრული ღირებულება მოიცავს ღირებულებას, გადასახადებს, საკომისიოებსა და სხვა სერვისების მოსაკრებლებს, ასევე, დამატებითი სერვისების მოსაკრებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ტრანსპორტირების სრული ღირებულების შემადგენლებისა და მათი ოდენობის შესახებ ინფორმაციას მიიღებთ დაჯავშნისას, ვებგვერდზე ან საინფორმაციო ცენტრისგან, იმის მიხედვით, თუ რა გზით აფორმებთ ჯავშანს.
- 7.1.2. თუ ცალსახად სხვაგვარად არ არის მითითებული, ღირებულება მოიცავს მხოლოდ გამგზავრების ადგილდან აღნიშნულების ადგილმდე ტრანსპორტირების საფასურს და მასთან დაკავშირებულ გადასახადებსა და საკომისიოებს. ღირებულება არ მოიცავს სახმელეთო ტრანსპორტირების სერვისს აეროპორტის ტერმინალს შორის ან აეროპორტის ტერმინალსა და ქალქს შორის, ასევე თქვენ მიერ მოთხოვნილ სხვა სერვისების მოსაკრებლებს.



- 7.1.3. ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება იმ ფასების მიხედვით, რომლებიც ძალში იქნება დაჯავშნის დღეს და რომლებიც მითითებულ იქნება ჩვენს ვებგვერდზე. ტრანსპორტირების ღირებულებაზე არ იმოქმედებს აღნიშნულ ფასების შესაძლო ცვლილება დაჯავშნის დღიდან მგზავრობის დაწყების დღემდე (გამონაკლისია შემთხვევები, რომლებიც აღწერილია პუნქტში 6.4. და ქვეპუნქტში 7.2.2).
- 7.1.4. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შემოგთავაზოთ პრომო-აქციებით გათვალისწინებულ ფასები დაჯავშნის დღიდან მგზავრობის დღემდე. პრომო-აქციებით გათვალისწინებულ ფასების შემოთავაზება არ გამლევთ უფლებას, მოითხოვოთ, აგინაზღაურდეთ სხვაობა ჯავშანში თქვენ მიერ გადახდილ რულ ღირებულებასა და პრომო-აქციით გათვალისწინებულ სრულ ღირებულებას შორის.

**7.2. გადასახადები, საკომისიოები და სხვა სერვისების მოსაკრებლები**

- 7.2.1. როგორც წესი, ტრანსპორტირების ღირებულება მოიცავს იმ გადასახადებს, მოსაკრებლებსა და საკომისიოებს, რომლებიც დაწესებულია მთავრობების, სხვა ორგანოების, აეროპორტების ოპერატორების ან Wizz Air-ის მიერ და ძალშია მგზავრობის გეგმის გაცემის თარიღისთვის, ასევე სხვა სერვისების გარდა უვალ მოსაკრებლების ყველზე დაბალ ოდენობას, რომელიც საჭიროა ჯავშნის გასაფორმებლად დაჯავშნისა და შექმნის მომენტში მოქმედი ტარიფების მიხედვით. მგზავრისთვის განკუთვნილი აეროპორტის საკომისიოები, რომლებიც შედის ღირებულებაში, არის იმ მომსახურების ანაზღაურება, რომელსაც გიწევთ აეროპორტის ოპერატორი და მოიცავს აეროპორტის ტერიტორიაზე მგზავრების მომსახურების დაბარგის დამუშავების ხარჯებს, მათ შორის (მაგრამ ამით არ შემოიფარგლება), მგზავრებისა და ბარგის რეგისტრაციას, მგზავრების უსაფრთხოების შემოწმებას, ბარგის შემოწმებას, საპასპორტო კონტროლსა და ჩასხდომის პროცედურებს. აეროპორტის ოპერატორის მიერ დაწესებული ნებისმიერი გადასახადი და საკომისიო (მათ შორის, მგზავრთა რაოდენობის მიხედვით გამოთვლილი) არ ექვემდებარება ანაზღაურებას.
- 7.2.2. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მოვითხოვოთ (ხოლო თქვენ წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების მიღებით თანახმა ხართ, გადაიხადოთ) ნებისმიერი ახალი ან გაზრდილი გადასახადი, საკომისიო ან მოსაკრებელი (სხვა სერვისების მოსაკრებლების ჩათვლით), რომელიც დაკავშირებულია თქვენს მგზავრობასთან და დაწესდება მთავრობების, სხვა ორგანოების ან აეროპორტის ოპერატორების მიერ, მგზავრობის გეგმის გაცემისა და თქვენი მგზავრობის თარიღებს შორის პერიოდში, უკუქცევითი ძალთ, კონკრეტული გარემოებების მიხედვით. თუ აღნიშნულთან ხეხს არ გადაიხდით, ჩვენ უფლება გვქვია, უარი გითხრათ ტრანსპორტირებაზე მე-12 მუხლს შესაბამისად. თუ ტრანსპორტირების სრული ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზრდება მთავრობების, სხვა ორგანოების ან აეროპორტის ოპერატორების მიერ დაწესებული ახალი ან გაზრდილი გადასახადების, საკომისიოების ან მოსაკრებლების გამო, თქვენ უფლება გქვიათ, გააუქმოთ ჯავშანი და დაიბრუნოთ ტრანსპორტირების სრული ღირებულება.

7.2.3. ზოგიერთი სერვისის შექმნა შესაძლებელია დაჯავშნის შემდეგაც, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მგზავრობის დაწყებამდე, ვებგვერდზე ან — პუნქტის 3.4 შესაბამისად — აეროპორტში, რაც დამოკიდებულია სერვისის ტიპზე. სხვა სერვისების ნებისმიერი მოსაკრებელი (მაგალითად, ადგილის არჩევის მოსაკრებელი) შეიძლება შეიცვალოს დაჯავშნის დღის შემდეგ. სხვა სერვისების მოსაკრებლები წარმოადგენს სხვა სერვისების შექმნის დღეს მოქმედ მოსაკრებლებს, რომლებსაც შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენს ვებგვერდზე ან ჩვენი საინფორმაციო ცენტრის საშუალებით.

### 7.3. ტარიფის ვალუტა

7.3.1. ტრანსპორტირების ღირებულება, გადასახადები, საკომისიოები და სხვა სერვისების მოსაკრებლები განისაზღვრება გამგზავრების ადგილს ვალუტაში, თუ ჩვენ არ მივუთითებთ სხვა ვალუტას გადახდის ეტაპზე ან მანამდე (მაგ., გამგზავრების ადგილს ვალუტის არაკონვერტირებადობის გამო), ან თუ თავადაირჩევთ სხვა ვალუტით გადახდას. ინვოისი გაიცემა გამგზავრების ადგილს ვალუტაში.

7.3.2. ჩვენს ვებგვერდზე მოცემულ ვალუტაში მითითებულ ფასები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვალუტა ჩვენ მიერ განსაზღვრულია, როგორც გამგზავრების ადგილს ვალუტა. თუ სხვა ვალუტაში არჩევთ გადახდას, ფასის კონვერტირებას მოვახდენთ ჩვენ.

### 7.4. გადახდა

#### 7.4.1. ზოგადი დებულებები

7.4.1.1. ტრანსპორტირების სრულ ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს დაჯავშნისას, სადებეტო თუ საკრედიტო ბარათით ან გადახდის სხვა მეთოდით, რომელსაც ვებგვერდის საშუალებით გაცნობებთ (მაგ., WIZZ-ის სასაჩუქრე ვაუჩერები), ან საბანკო გადარიცხვით იმ მგზავრობების შემთხვევაში, რომლებიც იწყება გარკვეულ ქვეყნებში (იხ. ქვეპუნქტი 7.4.3). ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში (რომელთა შესახებაც დაჯავშნისას შეიტყობთ), თქვენ ვალდებული იქნებით ცალკე გადაიხადოთ გადასახადები და საკომისიოები, მოთხოვნისამებრ (ზოგიერთ აეროპორტში შეიძლება მოგთხოვონ აეროპორტის საკომისიოს ადგილზევე გადახდა).

7.4.1.2. ტრანსპორტირების სრულ ღირებულების გადახდაზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადახდა განხორციელდა მესამე მხარის მიერ. ჩვენ შეიძლება, ჩვენი შეხედულებისამებრ, ჩავთვალოთ, რომ გადახდისთვის გამოყენებული სადებეტო ან საკრედიტო ბარათი ან საბანკო გადარიცხვა ან/და დაჯავშნის დეტალები მიუთითებს თაღლითობის მაღალ რისკზე. ასეთ შემთხვევაში ჩვენ დაგიკავშირდებით თქვენ მიერ დაჯავშნისას მითითებულ ტელეფონის ნომრებზე, დაჯავშნისა და გადახდის დეტალების გადასამოწმებლად. თუ აღნიშნულ ნომრებზე თქვენთან დაკავშირება ვერ მოვახერხებთ, ან თუ თქვენ ვერ დამოწმებთ გადახდის ან დაჯავშნის დეტალები, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, გავაუქმოთ თქვენი დაჯავშანი და აგინაზღაუროთ მთლიანი ღირებულება.

7.4.1.3. ტრანსპორტირების ზოგადი პირობების მიღებით თქვენ ცალსახად თანხმდებით, რომ ჩვენ გავცემთ ელექტრონულ ინვოისს, რომელშიც მითითებულ იქნება ტრანსპორტირების

სრულ ღირებულება და აღნიშნულ ელექტრონულ ინვოისს მოგაწვდით მხოლოდ და მხოლოდ ელექტრონული საშუალებით, თქვენ მიერ დაჯავშნისას მოწოდებულე ლფოსტის მისამართზე.

- 7.4.1.4. ელექტრონული ინვოისები გაიცემა უნგრეთის შესაბამისი სამართლებრივი ნორმატიული აქტების თანახმად (კერძოდ, უნგრეთის 2000 წლის აქტი №C ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ, პუნქტი 167).
- 7.4.1.5. გარდა ამისა, საინფორმაციო ცენტრის საშუალებით შეგიძლიათ მოითხოვოთ ელექტრონული ინვოისის ამობეჭდილი ასლი. ეს სერვისი ფასიანია და მისი ღირებულება შეგიძლიათ შეიტყოთ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან. ინვოისის ამგვარი ამობეჭდილი ასლი გამოიგზავნება ფოსტით, თქვენ მიერ საინფორმაციო ცენტრისთვის მიწოდებულ მისამართზე. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ შეცვლილი ინვოისი, რომელშიც მითითებული იქნება ინვოისირების განახლებული დეტალები, რომლებიც განსხვავდება დაჯავშნისას თქვენ მიერ მოწოდებულსგან, რისთვისაც შესაძლებელია დაგეკისროთ მოსაკრებელი.
- 7.4.1.6. თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება, ტრანსპორტირების სრულ ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს იმ ვალუტაში, რომელშიც განსაზღვრულია ღირებულება.
- 7.4.1.7. საკრედიტო ან სადებეტო ბარათით გადახდის შემთხვევაში, თქვენი გადახდა დამუშავდება ბარათით გადახდების დამუშავების საერთაშორისო სისტემის საშუალებით. თქვენი სადებეტო ან საკრედიტო ბარათიდან ჩამოჭრილი თანხა შეიძლება განსხვავდებოდეს (და ზოგიერთ შემთხვევაში, აჭარბებდეს) ჯავშნის დასტურში მითითებულ საბოლოო ფასისგან. ეს გამოწვეულია საერთაშორისო საბარათე გადახდების დამუშავების სისტემაში ვალუტის გადაცვლის კურსში არსებული სხვაობით.
- 7.4.2. გადახდა ონლაინ-დაჯავშნისას. როდესაც ონლაინ რეჟიმში ახდენთ დაჯავშნას, მთლიანი ღირებულება უნდა გადაიხადოთ ინტერნეტით გადახდებისთვის გამოსადეგი საბანკო ბარათით, ან საბანკო გადარიცხვით (თუ ეს შესაძლებელია მოცემულ ჯავშნისთვის) ვებსაიტზე მითითებულ დროის ფარგლებში.
- 7.4.3. გადახდა ჩვენი საინფორმაციო ცენტრის საშუალებით დაჯავშნისას. ჩვენი საინფორმაციო ცენტრის საშუალებით დაჯავშნის შემთხვევაში, თქვენი საბანკო ბარათის მონაცემები უნდა მიაწოდოთ საინფორმაციო ცენტრის აგენტს, რომელიც განახორციელებს გადახდას. დაჯავშნისას საჭიროა ტრანსპორტირების სრულ ღირებულების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში, გადახდა შეგიძლიათ შეასრულოთ საბანკო გადარიცხვით, რომლის დეტალებსაც შეიტყოთ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან (იხ. ქვეპუნქტი 7.4.4). საინფორმაციო ცენტრის საშუალებით დაჯავშნისას დაგეკისრებათ დამატებითი მოსაკრებელი, რომლის დეტალებიც შეგიძლიათ შეიტყოთ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან.
- 7.4.4. გადახდა საბანკო გადარიცხვით
  - 7.4.4.1. საბანკო გადარიცხვით შესაძლებელია გარკვეულ ქვეყნებში დაწყებული მგზავრობების სრულ ღირებულების გადახდა. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს.
  - 7.4.4.2. საბანკო გადარიცხვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დაკისრებულ ხარჯზე ან საკომისიოზე პასუხისმგებლობა

გეკისრებათ თქვენ. თქვენ მიერ გადმორიცხული და ჩვენ მიერ მიღებული თანხა უნდა შეადგენდეს ტრანსპორტირების სრულ ღირებულების მთლიან და ზუსტ ოდენობას, ხოლო ჩვენ ის უნდა მივიღოთ ჩვენს ვებგვერდზე მითითებული დროის ფარგლებში. თუ ტრანსპორტირების სრულ ღირებულების მთლიან თანხას არ მივიღებთ მითითებული დროის ფარგლებში, თქვენი ჯავშანი გაუქმდება და წაიშლება.

7.4.4.3. საბანკო გადარიცხვით გადახდის შემთხვევაში, ჯავშნის გაფორმების ვადა შეზღუდულია.

7.4.5. თუ დაჯავშნიდან 5 დღის განმავლობაში იმ ელფოსტის მისამართზე, რომელზეც დაჯავშნისას მიუთითეთ, არ მიიღებთ თქვენი ჯავშნის დასტურს, თქვენ უნდა დაუკავშირდეთ საინფორმაციო ცენტრს და გადაამოწმოთ თქვენი ჯავშნის სისწორე.

7.4.6. თუ Wizz Air-ის მიერ სხვაგვარად არ არის მითითებული, ერთი Wizz ანგარიშიდან ერთდროულად შესაძლებელია დაჯავშნის მოთხოვნების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის განხორციელება, რომელთა ღირებულებასაც გადაიხდით საბანკო გადარიცხვის მეშვეობით.

7.4.7. ყველ არაიდენტიფიცირებულ გადახდა დაბრუნდება საწყის საბანკო ანგარიშზე. აღნიშნულ საბანკო უკუგადარიცხვასთან დაკავშირებულ ყველ ხარჯი დაგეკისრებათ თქვენ.

## **8. მონაცემთა დაცვა**

8.1. თქვენს პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში, ჩვენ ვმოქმედებთ მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ ხელისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე ან, მოთხოვნისამებრ, დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საინფორმაციო ცენტრიდან.

8.2. ხელშეკრულების გაფორმებით და წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების მიღებით თქვენ ეთანხმებით შეტყობინებას კონფიდენციალურობის შესახებ.

## **9. რეისზე რეგისტრაცია და ჩასხდომა**

9.1. თუ რაიმე მიზეზით ვერ მოახერხებთ გამგზავრებას ან საჭირო დროს არ გამოცხადდით რეგისტრაციის გასავლელ და ჩასხდომის გასასვლელში, ჩვენ (9.16 პუნქტის შესაბამისად) უარს ვიტყვით თქვენს ტრანსპორტირებაზე, გაგიუქმებთ ჯავშანს და, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, აგინაზღაურებთ ტრანსპორტირების სრულ ღირებულებას, რომლდაც გამოიქვითება სხვა სერვისების მოსაკრებლად და ადგილს რეზერვაციის მოსაკრებელ. გირჩევთ, შეიძინოთ გაუქმების დაზღვევა.

9.2. რეისზე რეგისტრაციისას თქვენ უნდა დაადასტუროთ თქვენი ვინაობა, წარმოადგინოთ ჯავშნის კოდი და მოქმედი სამგზავრო დოკუმენტები, როგორც ამას მოითხოვს მე-11 მუხლი. თუ ამას ვერ მოახერხებთ, ჩვენ უარს ვიტყვით თქვენს ტრანსპორტირებაზე, გაგიუქმებთ ჯავშანს და, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, აგინაზღაურებთ ტრანსპორტირების სრულ ღირებულებას, რომლდაც გამოიქვითება სხვა სერვისების მოსაკრებელი და ადგილს რეზერვაციის მოსაკრებელი.

9.3. ზოგიერთ აეროპორტში, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, მგზავრის რეისზე რეგისტრაციისას შეიძლება

საჭირო იყოს მისი ფოტოს გადაღება, ხოლო თქვენ უნდა დათანხმდეთ ამგვარი ფოტოს გადაღებაზე.

- 9.4. თუ თქვენი მგზავრობის გეგმა შეიცავს ორან მეტსეგმენტს ერთი მიმართულებით, ყოველ ტრანზიტულ აეროპორტში ჩასვლასა და თქვენ ვალდებული ხართ, დატოვოთ თვითმფრინავი, შეხვიდეთ ქვეყანაში (გაიაროთ საბაჟო, სასაზღვრო და უსაფრთხოების კონტროლი), აიღოთ თქვენი რეგისტრირებული ბარგი და გაიაროთ რეგისტრაცია შემდეგ რეისზე წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადპირობებში აღწერილ პროცედურისა და წესების შესაბამისად.
- 9.5. რეისზე რეგისტრაცია იწყება გამგზავრების ადგილს აეროპორტის განრიგში მითითებულ დრომდე 2 საათით ადრე და, ჩვეულებრივ, სრულდება 40 წუთით ადრე. ზოგიერთ აეროპორტში, რომელთა დეტალებიც შეგიძლიათ შეიტყოთ ჩვენს ვებგვერდზე ან ჩვენი საინფორმაციო ცენტრისგან, რეგისტრაცია სრულდება განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე 60 წუთით ადრე.
- 9.6. ზოგიერთ მარშრუტზე რეისზე რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ და Wizz Air-ის მობილური აპლიკაციის საშუალებით. რეისზე ონლაინ რეგისტრაციის ხელისაწვდომობის შემთხვევაში, დაჯავშნისას უნდა აირჩიოთ, სადგურთ რეისზე რეგისტრაცია — ონლაინ თუ აეროპორტში. რეისზე აეროპორტში რეგისტრაციის არჩევის შემთხვევაში, თქვენ დაგეკისრებათ მომსახურების არაანაზღაურებადი მოსაკრებელი, რომელიც უნდა გადაიხადოთ დაჯავშნისას. თუ დაჯავშნისას აირჩიეთ რეისზე ონლაინ რეგისტრაცია, მოგვიანებით შემლუბთ თქვენი გადაწყვეტილების შეცვლას და რეისზე აეროპორტში რეგისტრაციას, თუმცა ამისთვის აეროპორტში უნდა გადაიხადოთ შესაბამისი მოსაკრებელი. აეროპორტში გადასახდელი მომსახურების აღნიშნული მოსაკრებლების ოდენობის დაზუსტება შეგიძლიათ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან.
- 9.7. თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება ჩვენთან და თუ თქვენი რეისისთვის აირჩიეთ ონლაინ რეგისტრაცია, რეისზე ონლაინ რეგისტრაცია იწყება განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრებამდე 48 საათით ადრე და სრულდება 3 საათით ადრე. რეისზე ონლაინ რეგისტრაცია შესაძლებელია ჩვენი ვებგვერდის ან Wizz Air-ის მობილური აპლიკაციის მეშვეობით.
- 9.8. თუ რეისზე რეგისტრაცია გაიარეთ ვებგვერდის მეშვეობით, ონლაინ, თქვენ უნდა ამოებჭდოთ ან ჩამოტვირთოთ ჩასხდომის ბარათი განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 2 საათით ადრე. თუ რეისზე რეგისტრაცია გაიარეთ Wizz Air-ის მობილური აპლიკაციის საშუალებით, თქვენ უნდა ჩამოტვირთოთ ჩასხდომის მობილური ბარათი თქვენი მობილური მოწყობილობის Passbook-ში ან მსგავსი ფუნქციის მქონე სხვა აპლიკაციაში, განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 2 საათით ადრე. ორივე შემთხვევაში, აეროპორტში უსაფრთხოების შემოწმებისას და ჩასხდომის გასასვლელუბში თქვენ უნდა წარადგინოთ ამოებჭდილი ან ჩამოტვირთული ჩასხდომის ბარათი და ის მოქმედი სამგზავრო დოკუმენტები, რომლებიც გამოიყენეთ რეისზე ონლაინ რეგისტრაციისას.

9.9. თუ რეგისტრაცია ონლაინ ან Wizz Air-ის აპლიკაციის საშუალებით გაიარეთ და საარეგისტრირებელ ბარგი გაქვთ, თქვენი ბარგით უნდა გამოცხადდეთ ბარგის ჩაბარების დახლან, განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრებამდე არა უგვიანეს 40 წუთისა, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ზოგიერთ აეროპორტში საარეგისტრაციო მაგიდეები ბარგის ჩაბარების მაგიდების ფუნქციასაც ასრულებს.

9.10. თუ ვერ მოახერხებთ ჩასხდომის მობილური ბარათის ჩამოტვირთვას ან ჩასხდომის ბარათის ამობეჭდვას (რეისზე ონლაინ რეგისტრაციის შემთხვევაში), ან რაიმე სხვა მიზეზით ვერ შეძლებთ ჩასხდომის გასასვლელში ჩასხდომის ბარათის წარდგენას, რეისზე რეგისტრაციის გავლ აეროპორტში შეგეძლებათ, რისთვისაც რეისზე აეროპორტში რეგისტრაციის მოსაკრებლს გადახდა მოგიწევთ.

9.11. ჩასხდომის გასასვლელთან უნდა გამოცხადდეთ (და მზად იყოთ ჩასხდომისთვის) განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 30 წუთით ადრე. თუ ჩასხდომის გასასვლელთან ვერ წარადგენთ ჩასხდომის ბარათს ან/და იმ სამგზავრო დოკუმენტებს, რომლებიც გამოიყენეთ რეისზე რეგისტრაციისას, შეიძლება უარი გითხრათ ტრანსპორტირებაზე.

9.12. თუ უკვე გაიარეთ რეისზე რეგისტრაცია ონლაინ ან Wizz Air-ის მობილური აპლიკაციის საშუალებით:

- (i) თქვენი სახელს, რეისის თარიღის, დროის და მარშრუტის შეცვლას შესაძლებელია განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 4 საათით ადრე (რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გადაიხადოთ შეცვლას მოსაკრებლები, რომელთა ოდენობაც შეგიძლიათ დააზუსტოთ ჩვენს ვებგვერდზე ან ჩვენი საინფორმაციო ცენტრისგან);
- (ii) დამატებითი სერვისების დამატება შესაძლებელია ონლაინ ან Wizz Air-ის მობილური აპლიკაციის საშუალებით, სერვისის შესაბამისი მოსაკრებლს გადახდით, განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 3 საათით ადრე. სერვისების აეროპორტში დამატების შემთხვევაში, საჭირო იქნება აეროპორტში შექმნის მომსახურების მოსაკრებლს გადახდა. რეისზე რეგისტრაციის შემდეგ ხელმისაწვდომი სერვისებისა და მათი მოსაკრებლების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ვებგვერდზე, საინფორმაციო ცენტრში ან თქვენს ტურისტულ აგენტთან.
- (iii) თუ დამატებით სერვისებს დამატებით მას შემდეგ, რაც გაივლით რეისზე რეგისტრაციას ონლაინ ან მობილური აპლიკაციის საშუალებით, თქვენ მოგიწევთ, ხელხლს ამობეჭდოთ ჩასხდომის ბარათი ან ჩამოტვირთოთ ჩასხდომის მობილური ბარათი (შესაბამისად), რომელშიც მითითებული იქნება დამატებითი სერვისები, და წარადგინოთ ის, თქვენს მოქმედ სამგზავრო დოკუმენტებთან ერთად, აეროპორტში უსაფრთხოების შემოწმებისას და ჩასხდომის გასასვლელში.

9.13. 14 წლამდე ასაკის ბავშვები (ა) რეისზე უნდა და რეგისტრირდნენ (ონლაინ ან მობილური აპლიკაციით) 16 წელზე უფროსი ასაკის მგზავრის მიერ და (ბ) უნდა მგზავრობდნენ 16 წელზე უფროსი ასაკის პირთან ერთად. ზოგიერთ ქვეყანაში არასრულწლოვანთა მგზავრობასთან

დაკავშირებული ნორმატიული აქტები შეიძლება შემოაღნიშნულზე უფრო მკაცრი იყოს და ამ შემთხვევაში, იმოქმედებს აღნიშნული ნორმატიული აქტები.

9.14. 9.7 პუნქტის დებულებების მიუხედავად, თუ რეისზე რეგისტრაცია გაიარეთ ონლაინ ან მობილური აპლიკაციის საშუალებით, თუმცა არ ხართ ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური ზონის მოქალაქე, მაშინ თქვენ უნდა გამოცხადდეთ სარეგისტრაციო დახლთან და თან იქონიოთ სამგზავრო დოკუმენტები, განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 40 წუთითა დრე, რათა გაიაროთ ჩასხდომის ბარათის დამოწმება. თუ ჩასხდომის გასასვლელთან ვერ წარადგენთ ჩასხდომის დამოწმებულ ბარათს, შეიძლება უარი გითხრათ ტრანსპორტირებაზე.

9.15. დანიშნულების ზოგიერთი ადგილს მიმართულებით მგზავრობისას, ადგილობრივი უსაფრთხოების ნორმატიული აქტების შესაბამისად, საჭიროა ონლაინ რეჟიმში, ჩვენი ვებგვერდის საშუალებით, მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენი სამგზავრო დოკუმენტების შესახებ, განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 4 საათითა დრე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება უარი გითხრათ ტრანსპორტირებაზე.

9.16. რეისზე დაგვიანება

9.16.1. თუ რეისზე დაგვიანეთ, თქვენ შეძლებთ დანიშნულების ადგილზე გამგზავრებას ჩვენი მომდევნო რეისით, თუ დააკმაყოფილებთ შემდეგ პირობებს:

- (i) თქვენ იმყოფებით გამგზავრების ადგილზე და აეროპორტში მიმართეთ ჩვენი ბილეთების გაყიდვის აგენტს განრიგის მიხედვით თქვენი თავდაპირველ რეისის გამგზავრებიდან 30 წუთის განმავლობაში; და
- (ii) თუ უკვე გაიარეთ რეისზე რეგისტრაცია ჩვენი ვებგვერდის ან Wizz Air-ის მობილური აპლიკაციის მეშვეობით:
  - დაგვიანებით გამოცხადდით ბარგის რეგისტრაციაზე (დასარეგისტრირებელ ბარგის არსებობის შემთხვევაში), ან
  - დაგვიანებით გამოცხადდით ჩასხდომის გასასვლელთან; ან
- (iii) თუ აირჩიეთ რეისზე რეგისტრაცია აეროპორტში, გამოცხადდით გამგზავრების ადგილზე, მაგრამ დაიგვიანეთ რეგისტრაციაზე; და
- (iv) გადაუხადეთ რეისზე დაგვიანების მოსაკრებელი აეროპორტში ჩვენი ბილეთების გაყიდვის აგენტს.

9.16.2. თუ თქვენს თავდაპირველ რეისს გადაიტანთ ახალზე, 9.16 პუნქტის პირობების შესაბამისად, დახელობს დაჯავშნილ რეისისთვის აირჩევთ აეროპორტში რეგისტრაციას, თქვენ დაგეკისრებათ მომსახურების არაანაზღაურებადი მოსაკრებელი, რომელიც უნდა გადაიხადოთ ხელხალ დაჯავშნისას, რეისზე დაგვიანების მოსაკრებელთან ერთად.

9.16.3. თუ აირჩიეთ რეისზე აეროპორტში რეგისტრაცია და რეგისტრაცია დროულად გაიარეთ, თუმცა დაგვიანებით გამოცხადდით ჩასხდომის გასასვლელთან, თქვენ მოგიწევთ

ახალ ჯავშნის გაფორმება. ამ შემთხვევაში 9.16 პუნქტის პირობების მიხედვით ხელს და ჯავშნა და უშვებელია.

9.16.4. თქვენი რეისის 9.16 პუნქტის პირობების შესაბამისად ხელს და ჯავშნის შემთხვევაში პუნქტი 9.1 აღარ იმოქმედებს, ხოლო თქვენი თავდაპირველი რეისის სრული ღირებულება არანაზღაურდება.

### 10. საბაჟო შემოწმება და უსაფრთხოების კონტროლი

- 10.1 თქვენ უნდა გაიაროთ თქვენი რეისისთვის საჭირო ყველ საიმიგრაციო თუ სხვა სახის უსაფრთხოების ოფიციალური პროცედურა და საბაჟო შემოწმება. თუ ამ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებთ, ჩვენ უარს ვიტყვით თქვენს ტრანსპორტირებაზე, გაგიუქმებთ ჯავშანს და, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, ავინაზღაურებთ ტრანსპორტირების სრულ ღირებულებას, რომლდანაც გამოიქვითება სხვა სერვისების მოსაკრებლები და ადგილს რეზერვაციის მოსაკრებელი.
- 10.2 თქვენ უნდა გამოცხადდეთ უსაფრთხოების შემოწმებებზე, რომელსაც ატარებს ტრანსპორტირებაში მონაწილე ქვეყნების სამთავრობო ორგანოები, აეროპორტის ოპერატორი და გადაწყვანი.
- 10.3 ტრანსპორტირების მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, თქვენ შეიძლება მოგიწიოთ, დაესწროთ თქვენი ბარგის შემოწმებას, რომელსაც ატარებენ საბაჟოსამსახურის ან სხვა ორგანოების თანამშრომლები.
- 10.4 კანონით დასაშვებ ფარგლებში, ჩვენ არ ვაგებთ პასუხს იმ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მე-10 მუხლიში განმარტებული შემოწმებებით ან/და თქვენი უარით, გამოცხადდეთ ან წარადგინოთ ბარგი აღნიშნულ შემოწმებებზე.

### 11. სამგზავრო დოკუმენტები

- 11.1 თქვენ უნდა გქონდეთ შესვლის, გასვლის, სამედიცინო თუ სხვა სახის დოკუმენტები, რომელსაც მოითხოვს ტრანსპორტირებაში მონაწილე ქვეყნები, და დააკმაყოფილოთ აღნიშნულ ქვეყნების შესაბამისი წესები და ნორმატიული აქტები. სასაზღვრო კონტროლზე და ჩასხდომისას უნდა წარმოადგინოთ ის დოკუმენტი, რომელიც გამოიყენეთ რეისის ტრაციისას. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს თქვენი სამგზავრო დოკუმენტების არსებობაზე, სისწორესა და ნამდვილობაზე. თუ აღნიშნულ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებთ, ან თუ თქვენი სამგზავრო დოკუმენტები აღმოჩნდება არასათანადო ან არასრული, ჩვენ ვიხსნით ყოველვარ პასუხისმგებლობას ამით გამოწვეულ ნებისმიერ ზარალზე.
- 11.2 თუ ტრანზიტული აეროპორტის ქვეყანაში შესასვლელ დგკირდებათ მოქმედი ვიზა, თქვენ უნდა წარადგინოთ ის ჩასვლისას. თუ ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებთ, ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას ამით გამოწვეულ ნებისმიერი სახის ზარალზე.
- 11.3 თუ ჩვენ მოგვიწევს რაიმე სახის ჯარიმის გადახდა ან ხარჯის გაწევა 11.1-11.2 პუნქტებში განმარტებული წესების თქვენ მიერ შეუსრულებლობის გამო, თქვენ ვალდებული იქნებით, ავინაზღაუროთ აღნიშნული ხარჯები ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე. თქვენ პასუხისმგებელი იქნებით იმ ქვეყნიდან



ტრანსპორტირების ხარჯებზეც, რომელიც შესვლას ნებას არ დაგრთავთ. იმ ქვეყანაში ტრანსპორტირების ღირებულების წილი, რომელიც შესვლას ნება არ დაგრთავთ, ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

11.4 უნგრეთის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ჩვენ არ ვაგებთ პასუხს თქვენს ტრანსპორტირებაზე უარის თქმის შემთხვევებზე, თუ გვქენება გონივრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მოქმედი კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები არ იმლუვა თქვენი ტრანსპორტირების ნებართვას.

## 12. უარი ტრანსპორტირებაზე

12.1 წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების სხვა მუხლებში მითითებული ნებისმიერი სხვა გარემოების გარდა, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, უარი ვთქვათ თქვენს ან/და თქვენი ბარგის ტრანსპორტირებაზე, თუ:

- a. ჩვენ გონივრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უარი ტრანსპორტირებაზე საჭიროა უსაფრთხოების დან გამომდინარე (მაგ., თქვენ იმყოფებით არაფხიზე ღმდომარეობაში);
- b. ჩვენ გვაქვს გონივრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ტრანსპორტირებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თქვენს ან/და ბორტზე მყოფი სხვა ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ფიზიკურ ხელეუბნობას და კომფორტს;
- c. ჩვენ გვაქვს გონივრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ თქვენს ასაკს, ფსიქიკურ ან ფიზიკურ მდგომარეობას შეუძლია საფრთხე შეგიქმნათ თქვენ ან/და ბორტზე მყოფ სხვა ადამიანებს ან მათსაკუთრებას;
- d. თქვენი ფიზიკური მდგომარეობა, ჩაცმულობა ან ქცევა შეაშინებს ბორტზე მყოფ ადამიანებს, გამოიწვევს მათ გაღიზიანებას ან აღშფოთებას;
- e. წინარეისზე თქვენ და არღვიეთქვევის კოდექსი და ჩვენ გვაქვს გონივრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ქცევა თქვენი მხრიდან კვლავ გამეორდება;
- f. ჩვენ ადრე შეგატყობინეთ, რომ არასოდეს დაიშვებოდით ჩვენს რეისებზე;
- g. ჩვენ გვქონდა თქვენი ჯავშნის გაფორმებაზე უარის თქმის საფუძველი;
- h. თქვენ უარს ამბობთ სამიგრაციო ან/და საბაჟო პროცედურების გავლზე;
- i. თქვენ უარს ამბობთ უსაფრთხოების შემოწმებაზე გამოცხადებაზე ან თქვენი ბარგის წარდგენაზე;
- j. თქვენ არ გადაგიხდიათ შესაბამისი ღირებულება, გადასახადები, საკომისიოები ან სხვა სერვისების მოსაკრებლები;
- k. თქვენ ჩვენ წინაშე გერიცხებათ დავალანება წინარეის(ებ)ისთვის;
- l. ჩვენ გვაქვს გონივრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ტრანსპორტირებაზე უარის თქმა საჭიროა ტრანსპორტირებაში მონაწილე რომელიმე ქვეყნის წესებისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- m. თქვენ არ გაქვთ მოქმედი ჩასხდომის ბარათი ან მოქმედი სამგზავრო დოკუმენტები (მათ შორის, თუ აღნიშნული დოკუმენტები განადგურდა ტრანსპორტირებისას); ან ჩასხდომისას ვერ წარადგინეთ იმ სამგზავრო დოკუმენტებს,

რომ ლუბიც გამოიყენეთ რეისზე ონლაინ რეგისტრაციისას; ან თუ არ ხართ ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური ზონის მოქალაქე და გაიარეთ რეისზე ონლაინ რეგისტრაცია, თუმცა ვერ წარმოადგენთ

ჩასხდომის ბარათს სარეგისტრაციო დახლოან დასმული ბეჭდით;

- n. თქვენ ვერ აკმაყოფილებთ (ან გვაქვს გონივრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ვერ აკმაყოფილებთ) შუალედური გაჩერების შეთანხმებული ადგილს ან დანიშნულების ადგილს ქვეყანაში შესვლას მოთხოვნებს (მათ შორის, თუ არ მოგვაწვდით ინფორმაციას თქვენი სამგზავრო დოკუმენტების შესახებ ჩვენი ვებგვერდის საშუალებით, განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დროდ არა უგვიანეს 4 საათით ადრე, როდესაც თქვენი დანიშნულების ადგილსთვის ეს საავადმედებულა);
- o. თქვენ ცდილობთ შეხვიდეთ ქვეყანაში, რომელშიც მხოლოდ ტრანზიტის უფლება გაქვთ;
- p. თქვენ უარს ამბობთ, მოთხოვნის საფუძველზე, გადმოგვცეთ სამგზავრო დოკუმენტები ჩვენ ან კომპეტენტურ ორგანოებს, აღნიშნული დოკუმენტების ჩაბარების ცნობის სანაცვლოდ;
- q. თქვენ ვერ ამტკიცებთ, რომ ხართ ჯავშანში მითითებული პირი; განსაკუთრებით, თუ ჯავშანში მითითებული სახელი არ არის იმ სამგზავრო დოკუმენტში მითითებულის იდენტური, რომელსაც აეროპორტში წარმოადგენთ;
- r. თქვენ არ შეგვატყობინეთ თქვენი განსაკუთრებული საჭიროებების ან განსაკუთრებული ბარგისა თუ პირობითი ტრანსპორტირების ნივთების ტრანსპორტირების განზრახვის შესახებ;
- s. თქვენ გჭირდება თანსაკუთრებული დახმარება, რომლის გაწევაც ჩვენ არ შეგვიძლია ან მისი გაწევა დაკავშირებულია არაპროპორციულ დამალხარჯებთან.

12.2 თუ თქვენი ქცევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის დანაშაულის გონივრულ ეჭვს, ან ბორტზე მოწვევის შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით, მივმართოთ კომპეტენტურ ორგანოებს. ჩვენ, ასევე, ვიტოვებთ უფლებას, უარი ვთქვათ თქვენს და თქვენი ბარგის შემდგომ ტრანსპორტირებაზე და გავაუქმოთ თქვენი ჯავშანი (ჯავშნები).

12.3 თუ ჩვენ, ჩვენი შეხედულებისამებრ, გონივრული მიზეზით უარს ვიტყვით თქვენს ტრანსპორტირებაზე ან გაგიუქმებთ ჯავშანს ამ მიუხედავად, ან 13.3.4 თუ 13.3.6 ქვეპუნქტების საფუძველზე, ჩვენი საინფორმაციო ცენტრისადმი თქვენი მიმართვის შემთხვევაში, აგინაზღაურებთ ტრანსპორტირების სრულ ღირებულებას, რომლიდანაც გამოიქვითება სხვა სერვისების მოსაკრებლები და ადგილს რეზერვაციის მოსაკრებელი. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი იმ დანაკარგზე ან ზარალზე, რომელიც გამოიწვევს ტრანსპორტირებაზე შემოადნიშნული უარის თქმით.

12.4 ზოგიერთ ქვეყანაში ტრანსპორტირებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები შეიძლება შემოადნიშნულზე უფრო მკაცრი იყოს და ამ შემთხვევაში, იმოქმედებს აღნიშნული ნორმატიული აქტები.

**13. მგზავრების საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული წესები**

**13.1 განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მგზავრების ტრანსპორტირება**

13.1.1. თუ რაიმე განსაკუთრებული საჭიროება გაქვთ, ამის შესახებ წინასწარ უნდა შეგვატყობინოთ (იხ. პუნქტი 6.2).

13.1.2. ერთი თვითმფრინავის ბორტზე შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობების ან მოძრაობის შეზღუდვის მქონე მაქსიმუმ 28 მგზავრის ტრანსპორტირება, მათ შორის, მაქსიმუმ 10 მგზავრისა, რომელსაც სარეგისტრაციო დახლთან თვითმფრინავის სალონში კუთვნილ ადგილმდე გადაადგილებისთვის ესაჭიროება შშმ პირის ეტლი.

13.1.3. ჩვენი რეისებით მგზავრობა არ შეუძლიათ ფეხმძიმე ქალებს ფეხმძიმობის 34-ე კვირის შემდეგ. ტყუპებზე ფეხმძიმობის შემთხვევაში, შეზღუდვა მოქმედებს 32-ე კვირიდან. ქალებს, რომელთა ფეხმძიმობის პერიოდიც შეადგენს 28 კვირაზე მეტს, ჩვენი რეისებით მგზავრობა შეუძლიათ მხოლოდ შემთხვევაში, თუ წარმოგვიდგენენ სამედიცინო ცნობას, რომელიც დაადასტურებს, რომ მათთვის დაშვებულია ავიატრანსპორტით მგზავრობა. თუ ავიაგადაყვანისას ფეხმძიმე ქალების და/ან მათი დაუბადებელი შვილების ჯანმრთელობას ზიანი მიადგება, Wizz Air-ის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ „ტრანსპორტირების ზოგადი პირობების“ შესაბამისად. სამედიცინო ცნობა გაცემული უნდა იყოს არა უადრეს ფრენამდე 6 დღისა.

13.1.4. მგზავრებს საკაცით ჩვენი რეისებით ფრენა არ შეუძლიათ.

13.1.5. ბორტზე შესაძლებელია ჟანგბადის იმ პორტატული კონცენტრატორების ატანა, რომლებიც არ შეიცავს შეკუმშულ აირს ან თხევად ჟანგბადს, იმ პირობით, რომ ჩვენ მივიღებთ დოკუმენტაციას, რომელიც ადასტურებს აღჭურვილობის ტიპს. აღნიშნულ კონცენტრატორებს მიეკუთვნება CPAP-აპარატი (ის უზრუნველყოფს ფილტვების ვენტილაციას მუდმივი დადებითი წნევით). CPAP-აპარატი შეიცავს სპეციალურ ცილინდრს მონაცემების მქონე უბერავს ჰაერის მსუბუქ ნაკადს ცხვირში სასუნთქი გზების ღიად შესანარჩუნებლად, თუმცა ის არ შეიცავს ჟანგბადს. აღნიშნულ მოწყობილობებზე არ ვრცელდება არარეგისტრირებულ ბარგთან დაკავშირებული ჩვენი წესები და მათი ბორტზე ატანა შესაძლებელია ბარგის დამატებითი ერთეულის სახით. თუ ამგვარი მოწყობილობის ბორტზე ატანას აპირებთ, დაუკავშირდით ჩვენს საინფორმაციო ცენტრს განრიგის მიხედვით თქვენი რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 48 საათით ადრე. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს.

13.1.6. ბორტზე არ დაიშვება სასუნთქი აპარატები, რომლებიც შეიცავს შეკუმშულ აირს ან თხევად ჟანგბადს.

13.1.7. ჩვენ არ ვიღებთ მგზავრებს, რომლებიც მგზავრობენ საკუთარი ჟანგბადით, თუმცა უზრუნველყოფთ სამედიცინო ჟანგბადით იმ მგზავრებს, რომლებიც მოითხოვენ ამგვარ განსაკუთრებულ დახმარებას ფრენის განმავლობაში.

თუ ამგვარი დახმარება გჭირდებათ, დაუკავშირდით ჩვენს საინფორმაციო ცენტრს განრიგის მიხედვით თქვენი რეისის გამგზავრების დრომდე არა უგვიანეს 48 საათით ადრე, რათა უზრუნველყოთ აღნიშნული სერვისი. დამატებითი

ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს, ან დაუკავშირდით ჩვენს საინფორმაციო ცენტრს.

### **13.2 ჩვილების და 14 წლამდე ასაკის პირების ტრანსპორტირება**

- 13.2.1. 2 წლამდე ბავშვები, მგზავრობისას, შეიძლება მშობლებმა კალთაში ჩაისვან. ერთზრდასრულთან ერთად დაშვებულია მხოლოდ ერთი ჩვილს მგზავრობა. უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, ერთი თვითმფრინავით შესაძლებელია მაქსიმუმ 15 ჩვილს მგზავრობა. ჩვილების ტრანსპორტირებისთვის გადასახდელი მოსაკრებლს ოდენობა შეგიძლიათ დააზუსტოთ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან.
- 13.2.2. თუ თქვენი ჯავშანი არის ორმხრივი მგზავრობისთვის, ხოლო დაბრუნების თარიღამდე ბავშვი გახდება 2წლის, უკანა გზისთვის უნდა გაფორმდეს ცალკე ჯავშანი, ვინაიდან ბავშვი ჩვილს დაღარჩაითვლება.
- 13.2.3. 14 წლამდე ასაკის ბავშვებს თან უნდა ახლდეს მინიმუმ 16 წლის ასაკის პირი. 14 წლამდე ასაკის მგზავრები თანმხლების პირის გარეშე ბორტზე არ დაიშვებიან. 16 წელზე უფროსი ასაკის ერთი პირი შეიძლება თან ახლდეს 14 წლამდე ასაკის მაქსიმუმ 10 მგზავრს. ზოგიერთ ქვეყანაში არასრულწლოვანთა მგზავრობასთან დაკავშირებულ ნორმატიული აქტები შეიძლება ზემოაღნიშნულზე უფრო მკაცრი იყოს და ამ შემთხვევაში, იმოქმედებს აღნიშნული ნორმატიული აქტები.
- 13.2.4. ჩვენ არ გადაგყავს ბავშვები, რომლებსაც მგზავრობის დღეს არ მიუღწევიათ 14 წლამდე.

### **13.3 ქცევა თვითმფრინავის ბორტზე**

- 13.3.1 თქვენ უნდა შეასრულოთ ეკიპაჟის წევრების მითითებები ტრანსპორტირების მთელი პერიოდი განმავლობაში.
- 13.3.2 უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ შეიძლება აკრძალული ან შეზღუდული იყოს თვითმფრინავის ბორტზე ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება, მათ შორის (თუმცა ამით არ შემოიფარგლება), მობილური ტელეფონების, ლპტოპების, პორტატული ჩამწერი მოწყობილობების, პორტატული რადიოების, CD-დამკვრელების, ელექტრონული თამაშების ან გამცემი მოწყობილობების, რადიოსიგნალებით მართული სათამაშოების და რაციების. სმენის აპარატებისა და კარდოსტიმულატორების გამოყენება ნებადართულია, ხოლო სხვა პორტატული ელექტრომოწყობილობების მუშაობა დაშვებულია მხოლოდ თვითმფრინავის რეჟიმში.
- 13.3.3 უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, დაშვებულია მხოლოდ ბორტზე შეძენილ ალკოჰოლური სასმელების მოხმარება.
- 13.3.4 თუ
  - a) ეკიპაჟის წევრების საფუძვლადანი აზრით, თქვენი ქცევით საფრთხეს შეუქმნით თვითმფრინავის ან ბორტზე მყოფთა და მათი საკუთრების უსაფრთხოებას;
  - b) ეკიპაჟის წევრებს მიაყენებთ სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას, ან ხელს შეუშლთ მათი მოვალეობის შესრულებაში;
  - c) უგულვებელყობთ ეკიპაჟის წევრების მითითებებს (მათ შორის, გაფრთხილებებს ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული საშუალებების, თამბაქოსა და ელექტრომოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებით);

d) ბორტზე მყოფ პირებს შეუქმნით დისკომფორტს ან უხერხულობას, მიაყენებთ ზიანს ან ტრავმებს,

ჩვენ უფლება გვაქვს, მივმართოთ ყველ ზომას, რომელსაც საჭიროდ ჩავთვლით (მათ შორის, ძალმომრეობას), აღნიშნულ ქცევის თავიდან ასაცილებლად ან შესაჩერებლად, ხოლო თქვენ ვალდებული იქნებით, აგვინაზღაუროთ ნებისმიერი ზარალი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია თქვენი ქცევით. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, სასამართლოს მეშვეობით წარმოგიდგინოთ შესაბამისი პრეტენზიები, უარი ვთქვათ თქვენს და თქვენი ბარგის შემდგომ ტრანსპორტირებაზე და გავაუქმოთ თქვენი ჯავშანი (ჯავშნები).

13.3.5 სხვა მხრივ, ბორტზე ჩადენილ ყველ ქმედებაზე ვრცელდება ტოკიოს კონვენცია „თვითმფრინავში განხორციელებული დანაშაულისა და ზოგიერთი სხვა აქტის შესახებ“, რომელიც ხელმოწერილია 1963 წლის 14 სექტემბერს და გამოქვეყნდა 1971 წლის №24 წერილობით ნორმაში, და სხვა მარეგულირებელი კანონები.

13.3.6 ჩვენი თვითმფრინავის ბორტზე აკრძალულია მოწვევა (მათ შორის, ელექტრონული სიგარეტების). მოწვევის ნებისმიერი მცდელობა შეიძლება გახდეს თქვენთვის სისხლისსამართლებრივად მიმდებარე ლეზის წაყენებისა და გამოწვეული ზარალის ანაზღაურების სასამართლოს მეშვეობით მოთხოვნის საფუძველი. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევებში, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, უარი ვთქვათ თქვენს და თქვენი ბარგის შემდგომ ტრანსპორტირებაზე და გავაუქმოთ თქვენი ჯავშანი (ჯავშნები).

#### **13.4 ბორტზე კვება და სხვა სერვისები**

13.4.1 ჩვენს რეისებზე მგზავრებს შეიძლება შევთავაზოთ სასმელებისა და მსუბუქი საუზმის შეძენა.

13.4.2 თუ ტრანსპორტირებას ახორციელებს რამდენიმე გადაყვანი, ჩვენ პასუხისმგებელი ვართ (წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების თანახმად) მხოლოდ იმ სეგმენტზე, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ.

### **14. ბარგი**

#### **14.1 ბარგის ტიპები, უფასო ბარგის ნორმა**

14.1.1. ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, რეგისტრირებული ბარგის ყოველ ერთეულს წონა არ უნდა აღემატებოდეს 32 კილოგრამს. რეგისტრირებული ბარგის ერთი ერთეულს მაქსიმალური ზომებია: 149,9 x 119,4 x 171,5 სმ. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, დავაწესოთ ზღვარი ერთი მგზავრის მიერ რეგისტრირებული ბარგის ერთეულის რაოდენობაზე. აღნიშნულ შეზღუდვების მოქმედების შესახებ შეიტყობთ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან. ჩვენ უარს ვიტყვით რეგისტრირებული ბარგის ტრანსპორტირებაზე, თუ ის გადააჭარბებს წინამდებარე 14.1.3 უნქტში მითითებულ ზღვარს.

14.1.2. რეგისტრირებული ბარგის ყოველ ერთეულს და მუშავებისთვის ჩვენ დაგაკისრებთ მოსაკრებელს. აღნიშნულ მოსაკრებელს ოდენობის დაზუსტება შეგიძლიათ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან. თუ თქვენი რეგისტრირებული ბარგის საერთო წონა აღემატება რეგისტრირებული ბარგის თქვენ მიერ არჩეულ ნორმას, თქვენ მოგიწევთ შენობა ტიული ბარგის მოსაკრებელს გადახდა ყოველ შემდეგი კილოგრამისთვის იმ ტარიფის მიხედვით, რომელიც ძალში იქნება მგზავრობის დღეს. აღნიშნულ მოსაკრებელს ოდენობის

და ზუსტება შეგიძლიათ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრისგან. დამუშავების ან/და შენორმატიული ბარგის შესაბამისი მოსაკრებლს გადაუხდელობის შემთხვევაში, ჩვენ უარს ვიტყვით რეგისტრირებულ ბარგის ტრანსპორტირებაზე.

- 14.1.3. ერთმგზავრს შეუძლია ბორტზე აიტანოს ხელბარგის მხოლოდ ერთი ერთეული, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ზომის შემდეგ შეზღუდვებს: ხელბარგის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 40x30x20 სმ-ს (სახელურებისა და ბორბლების გამოკლებით, თუმცა ბორბლების ზომა შეიძლება იყოს მაქს. 5 სმ-ით მეტი). ზომები, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ქვეპუნქტში 14.1.3, მოიცავს გვერდით ჯიბეებსაც.
- 14.1.4. Wizz Air-ის ზოგიერთი ნებაყოფლობითი სერვისი საშუალებას გაძლევთ, ხელბარგთან ერთად, ბორტზე თან იქონიოთ დამატებითი ბარგი, რომლის ზომებიც არ აღემატება 55x40x23 სმ-ს, ხოლო წონა — 10 კგ-ს (სახელურებისა და ბორბლების გამოკლებით, თუმცა ბორბლების ზომა შეიძლება იყოს მაქს. 5 სმ-ით მეტი).
- 14.1.5. თუ თქვენი არარეგისტრირებულ ბარგის ზომა ან/და წონა გადააჭარბებს შემოთგანსაზღვრულ შეზღუდვებს, მსგავსი შედეგები ზომის/წონის მქონე არარეგისტრირებულ ბარგის ტრანსპორტირება ჩასხდომის გასასვლელთან დაქვემდებარება შენორმატიული ბარგის მოსაკრებლს (შედეგები ზომის/წონის მოსაკრებლს) გადახდას, რომლის ოდენობაც მითითებულია ჩვენს ვებგვერდზე. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მსგავსი შედეგები ზომის/წონის მქონე არარეგისტრირებულ ბარგის ტრანსპორტირება მოვახდინოთ რეგისტრირებულ ბარგის სახით. ვინაიდან სალონში სივრცე შეზღუდულია, სალონში შეტანილი არარეგისტრირებულ ბარგის მაქსიმალური ზომები არ უნდა აღემატებოდეს 55x40x23 სმ-ს, ხოლო წონა — 10 კგ-ს (სახელურებისა და ბორბლების გამოკლებით, თუმცა ბორბლების ზომა შეიძლება იყოს მაქს. 5 სმ-ით მეტი). ოპერაციული ან/და უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, იმ არარეგისტრირებულ ბარგის ტრანსპორტირება, რომელიც აკმაყოფილებს ზომასთან და წონასთან დაკავშირებულ შემოთგანსაზღვრულ შეზღუდვებს, მოვახდინოთ უფასოდ, სატვირთო განყოფილებაში. წინამდებარე დებულება არ ვრცელდება ქვეპუნქტში 14.1.6 განმარტებულ პირადნივთებზე.
- 14.1.6. არარეგისტრირებულ ბარგთან ერთად, ცალკე მოსაკრებლს გადახდის გარეშე, ბორტზე შეგიძლიათ აიტანოთ მცირე ზომის შემდეგი პირადნივთები:
  - a. ქურთუკი ან პლედი;
  - b. მობილური ტელეფონი;
  - c. ფრენისას საკითხავი მასალა;
  - d. 2 წლამდე ბავშვებისთვის: ფრენისას სამყოფი საკვების დოზა;
  - e. ნივთები, რომლებიც შექმნილია მოსაცდელ და რბაზში მდებარე უბაჟო ვაჭრობის პუნქტში, უსაფრთხოების შემოწმების გავლს შემდეგ;
  - f. წყვილი ყავარჯენი შშმ მგზავრებისთვის;
  - g. უკან მიმართული და უსაფრთხოების ღვედით აღჭურვილი ავტოსავარძელი ჩვილებისთვის, თუ ჩვილისთვის შექმნილია ცალკე ადგილი თვითმფრინავში, ხოლო ავტოსავარძელი აღჭურვილია საკეტიტო, რომლისთვისაა საიმედოდ დამაგრდება მგზავრისთვის განკუთვნილ უსაფრთხოების ღვედთან.

- 14.1.7. ზოგიერთ აეროპორტში შეიძლება მოქმედებდეს დამატებითი შეზღუდვები არარეგისტრირებულ ბარგთან და პირადნივთებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება შემოაღნიშნულზე მკაცრი იყოს. აღნიშნულ შემთხვევაში, უპირატესი ძალ ექნება აეროპორტის წესებს.
- 14.1.8. ზოგიერთ აეროპორტში შესაბამისი მოსაკრებლს გადახდა მხოლოდ საკრედიტო ან სადებიტო ბარათითა არის შესაძლებელი. აღნიშნულ აეროპორტების სიის გაცნობა შეგიძლიათ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით. აღნიშნულ აეროპორტების განახლებულსიას გამოვაქვეყნებთ ჩვენს ვებგვერდზე. თუ ჩვენს ვებგვერდზე აეროპორტების აღნიშნულსიის განახლებას ვერ მოვახერხებთ, ჩვენ ვიქნებით პასუხისმგებელი არააქტუალური ინფორმაციით გამოწვეულ ნებისმიერ ზარალზე, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 14.1.9. რეგისტრირებულ ბარგის შესაბამისი მოსაკრებლს გადაუხდელობის შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია უარი გითხრათ თქვენი ბარგის ტრანსპორტირებაზე. ჩვენ ვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას აღნიშნულ უარით გამოწვეულ ზარალზე.
- 14.1.10. ბორტზე თქვენ მიერ ატანილ არარეგისტრირებულ ბარგი და სხვა ნივთები უნდა შეინახოთ ისე, რომ კორიდორები და საავარიო გასასვლელი იყოს თავისუფალი, ეკიპაჟის წევრების მითითებების შესაბამისად.
- 14.1.11. საბავშვო და შშმ მგზავრების ეტლები უნდა დარეგისტრირდეს სხვა ბარგთან ერთად და მათი ტრანსპორტირება მოხდება უფასოდ, თუ აღნიშნულ აღჭურვილობის მომხმარებელი იმავერეისით მგზავრობს.

**14.2 ბარგის მიღება**

- 14.2.1. თქვენი ბარგის რეგისტრირებულ ბარგის სახით ტრანსპორტირებისთვის მიღებისას თითოეული ერთეულსთვის გაიცემა ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღი და ბარგის მოთხოვნის იარაღი.
- 14.2.2. თქვენი რეგისტრირებულ ბარგის ტრანსპორტირება მოხდება იმავე თვითმფრინავით, რომლითაც თქვენ მიფრინავთ.

**14.3 ტრანსპორტირებისთვის და უშვებელი ნივთები**

- 14.3.1. ტრანსპორტირებისთვის და უშვებელია შემდეგი ნივთები (ისინი არ უნდა იყოს თქვენს რეგისტრირებულ ბარგში, არარეგისტრირებულ ბარგში და არ უნდა იქონიოთ თან როგორც პირადი ნივთი):
- a. იარაღი და ფეთქებადი ნივთიერებები (მათ შორის, სანადირო ან სპორტული იარაღი), თქვენს სამგზავრო გეგმაში მითითებულ ტრანსპორტირებაში მონაწილე ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;
  - b. ნებისმიერი ნივთი ან ნივთიერება, რომელიც ჰგავს იარაღს ან ფეთქებადი ნივთიერებას;
  - c. აალებადი ნივთიერებები (გამონაკლსები: ალკოჰოლური სასმელები, თბის ლქი, სუნამო, ოდეკოლონი); დ. რადიოაქტიური ნივთიერებები;
  - e. შეკუმშული აირი (გამონაკლსები: ხელოვნური კიდურის მოძრაობისთვის საჭირო CO2; თვითგაბერვადი სამაშველო ჟილუტისთვის გამოყენებულ აალებადი აირის კონტეინერი);
  - f. მხამიანი ან ინფექციური ნივთიერებები;

- გ. ამომქმელო ნივთიერებები (გამონაკლსები:ვერცხლსწყალი თერმომეტრებში, ბარომეტრებში, შშმ პირების ეტლბის ბატარეაში);
- h. საკეტიანი პორტფელები, დიპლომატები ან ჩემოდნები ჩაშენებულ სიგნალზაციით, რომელიც შეიცავს ლითუმის ბატარეებს ან პიროტექნიკურ მასალებს;
- i. ნივთები და მასალები, რომლებიც საფრთხეს უქმნის თვითმფრინავის უსაფრთხოებას ან ბორტზე მყოფთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ფიზიკურ ხელშეუხებლობას ან საკუთრებას;
- j. ნებისმიერი ნივთი ან მასალა, რომელიც აკრძალულია ტრანსპორტირებაში მონაწილე ქვეყნების წესებითა და ნორმებით;
- k. ნებისმიერი ნივთი, რომელიც შეუფერებელია ტრანსპორტირებისთვის მისი წონის, ზომის ან სხვა მახასიათებლების გამო;მ.ა და მიანის სხეულის ნაწილები;
- ნ. ნებისმიერი ნივთი, რომელიც მითითებულია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სახიფათო ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვის ტექნიკურ ინსტრუქციასა და საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (IATA) სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებულ დებულებებში, გარკვეული დამატებით შეზღუდვებით. შეზღუდვებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს.

თუ რომელიმე შემოადნიშნული ნივთიერების ან ნივთის გადატანას შეეცდებით, ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ თქვენი ბარგის ან/და თქვენს ტრანსპორტირებაზე.

- 14.3.2. თუ თქვენი რეგისტრირებული ბარგი შეიცავს ქვემოთ ჩამოთვლელ ნივთებს:
- ა. ნაღდი ფული, ფასიანი ქაღალდები;
  - ბ. საიუველრო ნაწარმი, ძვირფასი ლითონები, ძვირფასი და ნახევრა დვირფასი ქვები;
  - ც. კომპიუტერი, კამერა, ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი და ნებისმიერი სხვა ელექტრონული ან ტექნიკური მოწყობილობა და მათი აქსესუარები;
  - დ. ოფიციალური, საქმიანი ან პირადი დოკუმენტები;
  - ე. სამგზავრო ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტები;
  - ფ. გასაღებები;
  - გ. სიბეები;
  - h. მედიკამენტები;
  - i. მაღუჭებადი პროდუქტები;
  - j. ხელოვნების ნიმუშები და ნახატები;
  - k. ქვეპუნქტში 14.3.1 ჩამოთვლელ ნივთები,

ჩვენ პასუხს არ ვაგებთ ამ ნივთების დაყოვნებაზე, დაკარგვაზე ან დაზიანებაზე.

ზოგიერთ აეროპორტში შეიძლება მოქმედებდეს დამატებითი შეზღუდვები. აღნიშნულ შემთხვევაში, უპირატესი ძალა ექნება აეროპორტის წესებს.

- 14.3.3. არარეგისტრირებული ბარგის ან პირადი ნივთების სახით აკრძალულია ანტიკვარული იარაღის, ხმლების, დანების, მაკრატლს, ბასრი პირების, მჭრელო ინსტრუმენტების, ნემსების, შპრიცების და სხვა ბასრი ნივთების გადატანა,



ასევე ნებისმიერი ისეთი ნივთის, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იყოს იარაღად.

14.3.4. არარეგისტრირებულ ბარგის ან პირადი ნივთების სახით შესაძლებელია მხოლოდ იმ ნივთების გატანა, რომლებიც დაშვებულია ტრანსპორტირებისთვის და მხოლოდ იმ რაოდენობითა თუ შეფუთვით, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობითა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებით.

#### **14.4 პირობითი ტრანსპორტირების ნივთები**

14.4.1. თუ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ნივთების გადატანა გასურთ, ამის შესახებ უნდა გვაცნობოთ და ჯავშნისას:

- a. მყიფე ნივთები,
- b. უსიამოვნო ხასიათის ნივთები;
- c. მშრალ ჰერმეტიკულ ბარგებზე მომუშავე შუამპირის ეტლი (მხოლოდ რეგისტრირებულ ბარგის სახით);
- d. სხვა არასტანდარტულ ნივთები, მათ შორის (თუმცა ამითარ შემოიფარგლება), სათხილ მურო, სასნოუბორდინგო, გოლფის, დაივინგის, სერფინგისა და სათევზაო აღჭურვილობა, რქები და ნადვლი, ველსიპედები, ჭოკები, მუსიკალური ინსტრუმენტები და ა.შ.

ზემოაღნიშნულთან რომელიმე ნივთის ტრანსპორტირების განზრახვის შესახებ უნდა გვაცნობოთ ჩვენი საინფორმაციო ცენტრის საშუალებით. ასეთი საგნების ტრანსპორტირება მხოლოდ ჩვენი თანხმობით შეგიძლიათ.

14.4.2. 14.4.1 ქვეპუნქტის ა), ბ) და დ) ნაწილებში აღნიშნული რომელიმე ნივთის გადატანის შემთხვევაში მოგიწევთ შესაბამისი მოსაკრებლს გადახდა, ჩვენი სატარიფო პირობების შესაბამისად. დეტალური ინფორმაციის გაცნობა შეგიძლიათ ჩვენი ვებგვერდიდან ან საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

14.4.3. თუ ქვეპუნქტში 14.4.1 აღნიშნული ნივთების შესახებ წინასწარარ შეგვატყობინებთ და ჩვენს თანხმობას არ მიიღებთ, ჩვენ შეიძლება უარი გითხრათ მათ ტრანსპორტირებაზე ან/და არ ვიქნებით პასუხისმგებელი მათ დაგვიანებაზე და ზიანებაზე.

14.4.4. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი მყიფე ნივთების დაზიანებაზე ტრანსპორტირების შედეგად. მსხვრევადი საგნების შემცველ ბარგის რეგისტრირებულ ბარგის სახით გადატანა დასაშვებია მხოლოდ შეზღუდულ პასუხისმგებლობის აღმნიშვნელი იარაღით.

14.4.5. თქვენ უნდა გადაიხადოთ ნებისმიერი საფასური, რომელიც დაკავშირებულია სპორტული აღჭურვილობის, მუსიკალური ინსტრუმენტების და ზოგიერთი იმ ნივთის ტრანსპორტირებასთან, რომლის გადატანაზეც შევთანხმდებით ჩვენი პირობებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

#### **14.5 ცხოველები**

14.5.1. ჩვენს რეისებზე კონკრეტულ მარშრუტებზე დაუშვებელია ცოცხალი ცხოველების გადაყვანა, გამონაკლისია სერტიფიცირებულ დამხმარე ძაღლები (ან დამხმარე ძაღლები, რომლებიც მითითებულია უნგრეთის და დგენილებაში №SZMM 27/2009), ნორმატიული აქტის №1107/2006/EC შესაბამისად.

14.5.2. თუ გჭირდებათ სერტიფიცირებულ დამხმარე ძაღლთან ერთად მგზავრობა, თქვენ ხართ პასუხისმგებელი, თან იქონიოთ ის დოკუმენტები, რომლებსაც მოითხოვს ტრანსპორტირებაში

მონაწილე ქვეყნების ნორმატიული აქტები და დააკმაყოფილოთ აღნიშნული ნორმატიული აქტების პირობები, ასევე შეგვატყობინოთ თქვენი ამ განზრახვის შესახებ, ქვეპუნქტის 6.2.1 შესაბამისად. სერტიფიცირებულ დამხმარე ძალების ტრანსპორტირება მოხდება უფასოდ. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს.

#### **14.6 თქვენი ბარგის ტრანსპორტირება ზეჟარის თემის უფლება**

14.6.1. 14.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ჩვენ უარს ვიტყვით იმ ნივთების გადატანაზე, რომელთა ტრანსპორტირებაც დაუშვებელია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების შესაბამისად, ასევე პირობითი ტრანსპორტირების ნივთების გადატანაზე, თუმცა შესახებ წინასწარ არ შეგვატყობინეთ ან არ მიგიღიათ ჩვენი თანხმობა 6.2.5 ქვეპუნქტის შესაბამისად.

14.6.2. ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ ნებისმიერი ნივთის ან ნივთიერების ტრანსპორტირებაზე, რომელსაც ჩავთვლით ტრანსპორტირებისთვის შეუფერებლად მისი ზომის, ფორმის, წონის, შემადგენლობის, ხასიათის ან შეფუთვის გამო, ასევე, უსაფრთხოების ან სხვა მგზავრების კომფორტის მოსაზრებებიდან გამომდინარე.

#### **14.7 ბარგის ჩხრეკის უფლება**

14.7.1. უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება გთხოვოთ თქვენი ტანსაცმლისა ან ბარგის ჩხრეკის ნებართვა. თუ არ იქნებით ადგილზე ან რაიმე სხვა მიზეზის გამო იქნებით მიუწვდომელი, თქვენი ბარგი შეიძლება გაიჩხრიკოს თქვენს დაუსწრებლად, რათა დადგინდეს, შეიცავს თუ არა ის იმ ნივთებსა თუ ნივთიერებებს, რომლებიც მითითებულია 14.3 ან 14.4 პუნქტებში. თუ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ მოისურვებთ, ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ თქვენს ან/და თქვენი ბარგის ტრანსპორტირებაზე. ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას იმ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს თქვენს ბარგს ჩხრეკისას, შესაბამისი სამართლებრივი დებულებებით დაშვებულ ფარგლებში. **14.8**

#### **რეგისტრირებული ბარგის მიწოდება და მიღება**

##### **და დგენილების 18.§ და 19.§**

14.8.1. აეროპორტებში ბარგის მიწოდება ხდება ბარგის გაცემის სპეციალური ტერმინალების საშუალებით, ავტომატურად და არა პირადად აღნიშნული ტერმინალებიდან ბარგის მიღება თქვენი პასუხისმგებლობაა. ბარგის მიწოდების შემდეგ ჩვენ აღარ ვიქნებით მასზე პასუხისმგებელი. ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია შევამოწმოთ თქვენი ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღები და ბარგის მოთხოვნის იარაღები. მოუთხოვნილი ბარგი, რომელიც ინახება ჩვენთან, გადაეცემა მხოლოდ იმ პირს, რომელიც წარმოადგენს ბარგის მოთხოვნის იარაღს, რომელიც შეესაბამება ბარგის საიდენტიფიკაციო იარაღს.

14.8.2. 14.2 პუნქტის პირობების შესაბამისად, თქვენი რეგისტრირებული ბარგი უნდა მიიღოთ, როგორც კი ის თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდება. თუ თქვენი ბარგის ან პირადი ნივთების მიღებას ვერ მოახერხებთ, ჩვენ შევინახავთ მათ 60 დღის განმავლობაში და დაგაკისრებთ შენახვის მოსაკრებელს. აღნიშნული პერიოდის შემდეგ თქვენი ბარგი და პირადი ნივთები გაიყიდება ან განადგურდება. თუ თქვენი ბარგის ან პირადი ნივთების

საფუძველზე თქვენი იდენტიფიცირება მოხერხდა, თქვენს მიერ მოწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით შეგატყობინებთ, რომ განზრახული გვაქვს დატოვებული ნივთების განადგურება, ასევე გაცნობებთ, თუ როდის მოხდა განადგურება, და ამის შემდეგ თქვენს წინაშე არავითარი პასუხისმგებლობა არ გვექნება რაიმე ზარალისთვის.

## 15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა Wizz Air-ის მიერ

### 15.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა Wizz Air-ის მიერ

15.1.1. სანამ თქვენს ჯავშანს მივიღებთ, ჩვენ შეგატყობინებთ რეისის გამგზავრებისა და ჩაფრენის დროს, რომელიც ძალში იქნება მოცემულმომენტში მოქმედი განრიგის მიხედვით და აღნიშნული იქნება თქვენს მგზავრობის გეგმაში. მგზავრობის გეგმის გაცემის შემდეგ ჩვენ შეიძლება დაგჭირდეს რეისის განრიგით გათვალისწინებული დროის, თარიღის ან მარშრუტის (მათ შორის, გამგზავრების ადგილის ან დანიშნულების ადგილის) შეცვლა. ჩვენ დაგიკავშირდებით თქვენ მიერ დაჯავშნისას მოწოდებულ ელფოსტის მისამართზე ან ტელეფონის ნომერზე და გაცნობებთ ნებისმიერი აღნიშნული ცვლილების შესახებ. თუ რეისის დრო, თარიღი ან მარშრუტი შეიცვლება, ხოლო თქვენ ნებისმიერი ფორმით დაეთანხმებით აღნიშნულ ცვლილებას, თქვენსა და ჩვენს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შევა შესაბამისი ცვლილებები.

თუ თქვენ არ ხართ იმ ელფოსტის მისამართის ან ტელეფონის ნომრის მფლობელი, რომელიც მითითებულია თქვენს ჯავშანში, თქვენ თავად ხართ ვალდებული, ცვლილებებთან დაკავშირებულ შეტყობინებების თაობაზე მიმართოთ თქვენს ჯავშანში მითითებულ ელფოსტის მისამართის მფლობელს ან ტელეფონის ნომრის მუდმივ მომხმარებელს.

15.1.2. იმ შემთხვევების გარდა, როცა კონვენცია ან №261 ნორმატიული აქტი ითვალისწინებს საწინააღმდეგოს, თუ თქვენი ჯავშნის გაფორმების შემდეგ (მაგრამ განრიგის მიხედვით რეისის გამგზავრების დრომდე) ჩვენ გავაუქმებთ თქვენს რეისს ან მნიშვნელოვნად შევცვლით გამგზავრების დაგეგმილ დროს, ხოლო აღნიშნული ცვლილება ან შემოთავაზებული ახალი რეისი თქვენთვის მიუღებელი იქნება, შესაფერის რეისზე ჯავშნის გაფორმებას კი ვერ მოვახერხებთ, თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს საინფორმაციო ცენტრს და აირჩიოთ ერთ-ერთი შემდეგი ვარიანტი:

- a) ჩვენ შეგიძლია (ადგილების ხელისაწვდომობის გათვალისწინებით) გაგიფორმოთ ჯავშანი ჩვენ მიერ შესრულებულა ხალრეისზე იგივე მიმართულებითა და, საჭიროების შემთხვევაში, ანალოგიური მარშრუტით, გაუქმებულ/გადადებული რეისის გამგზავრების დაგეგმილ თარიღამდე 14 დღის ან მის შემდეგ — 30 დღის განმავლობაში; ან
- b) შეგიძლიათ გააუქმოთ ჯავშანი და მოითხოვოთ კრედიტი „მომხმარებელს ანგარიშზე“ თქვენ მიერ გაუქმებულ რეისისთვის და, შესაბამის შემთხვევაში, უკანასეგმენტისთვის; ან
- c) შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი ჯავშანი და მოითხოვოთ გაუქმებული რეისისთვის და, შესაბამის შემთხვევებში, უკანა რეისისთვის გადახდილ ტრანსპორტირების სრულ ღირებულების ანაზღაურება (გადასახადებისა და საკომისიოების ჩათვლით).

თუ თქვენი არჩევანის შეცვლას მოისურვებთ, ამის გაკეთებას შეძლებთ ზოგადი წესების თანახმად და შესაბამისი მოსაკრებლს გადახდით.  
გაითვალსწინეთ, რომ დამატებითი სერვისების გაუქმების შემთხვევაში, იმოქმედებს მესამე მხარის გაუქმებისა და თანხის ანაზღაურების წესები.

## **15.2. გადაჯდომები**

15.2.1. ჩვენ არ ვასრულებთ გადასაჯდომ რეისებს. თქვენ საკუთარ თავზე იღებთ ნებისმიერ მომდევნო რეისზე თქვენი ან თქვენი ბარგის დაგვიანების რისკს.

## **15.3. ალტერნატიული ტრანსპორტირება**

15.3.1. მარშრუტის ცვლილებისას ან ჯავშნის ხელხელ გაფორმებისას, ზოგიერთ შემთხვევაში, საჭაერო ტრანსპორტირების ნაცვლად, თქვენი გადაყვანა შეიძლება განვახორციელოთ სხვა საშუალებებით.  
15.3.2. თუ ალტერნატიული ტრანსპორტირებაზე განაცხადებთ თანხმობას პირდაპირი ან ირიბი ფორმით, ხელშეკრულება ჩაითვლება შესრულებულად ალტერნატიული ტრანსპორტირების განხორციელების გზით და ჩვენ აღარ გვექნება თქვენ წინაშე ვალდებულება. თქვენ არ გვექნებათ ტრანსპორტირების სრული ღირებულების ან მისი ნაწილის ანაზღაურების ან/და სხვა ტიპის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

## **15.4. კურსის ცვლილება**

15.4.1. თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ გამგზავრების ადგილდან გამგზავრებას ან დანიშნულების ადგილზე თუ შუალედური გაჩერების შეთანხმებულ ადგილზე ჩაფრენას, რის შედეგადაც თვითმფრინავი გადამისამართდება სხვა აეროპორტში (შემდგომში „კურსის ცვლილება“) და დანიშნულების ადგილსკენ გზას აღარ გააგრძელებს, ჩვენ უზრუნველყოფთ თქვენს ტრანსპორტირებას დანიშნულების ადგილმდე საკუთარი ძალებით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებებით. აღნიშნულ შემთხვევაში, ხელშეკრულება ჩაითვლება შესრულებულად და ჩვენ აღარ გვექნება თქვენ წინაშე ვალდებულება.

## **15.5. თქვენი უფლებების აღსრულება**

15.5.1. თუ ჩვენ არ შევასრულებთ ამ მუხლს, თქვენ უფლება გაქვთ შეიტანოთ საჩივარი მომხმარებლს დაცვის ეროვნულ სააგენტოში ან მის რეგიონული ინსპექტორატებში.

## **15.6. ინფორმაციის მიღების უფლება**

15.6.1. თუ უარს გეტყვით თვითმფრინავში ჩასხდომაზე ან გავაუქმებთ თქვენს რეისს, ჩვენ წერილობითი სახით მოგაწვდით (აეროპორტში) ინფორმაციას კომპენსაციისა და დახმარების მიღების წესების შესახებ. ანალოგიური ინფორმაციას მიიღებთ იმ შემთხვევაშიც, თუ რეისი დაიგვიანებს მინიმუმ ორი საათით. თქვენ ასევე გეცნობებათ №261 ნორმატიულ აქტში მითითებული შესაბამისი ეროვნული სააგენტოს საკონტაქტო დეტალები.

## **15.7. საგანგებო გარემოებები, ფორს-მაჟორი**

15.7.1. თუ მე-15 მუხლს წინა პუნქტები და ქვეპუნქტები არ ითვალსწინებს საწინააღმდეგოს, ჩვენ არ გვეკისრება არავითარი დამატებითი ვალდებულება ხელშეკრულების

ცვლელბაზე საგანგებო ან ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებით დაშვებულ ფარგლებში, ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას საგანგებო ან ფორს-მაჟორული გარემოებებით გამოწვეულ ნებისმიერ ზარალზე ან დაზარალებაზე.

### **15.8. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების**

15.8.1. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების 15.1.2 ქვეპუნქტი და 15.6 პუნქტი არ ვრცელდება თქვენზე, თუმცა ვრობთ უფასოდან ფასდაკლებულ ტარიფით, რომელიც პირდაპირი ან ირიბი გზით არის ხელისაწვდომი საჯაროდ.

### **16. თანხის დაბრუნება და უფასომომსახურების მიღების უფლება**

#### **16.1. თანხის დაბრუნება**

16.1.1 იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც ცალსახად არის მითითებული წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებში, ტრანსპორტირების ღირებულება, გადასახადები, საკომისიოები და სხვა სერვისების მოსაკრებელი არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

16.1.2 ქვეპუნქტის 16.1.1 აზრის შეზღუდვის გარეშე, კონკრეტული მიმართულებებით (ან პირიქით) მგზავრობისთვის შეიძლება შემოთავაზებული იყოს ავიაბილეთები, რომლებიც ითვალისწინებს თანხის დაბრუნების შესაძლებლობას. ხელისაწვდომობის შემთხვევაში, აღნიშნულ ავიაბილეთის დაჯავშნა ჩვენი ვებგვერდიდან ვერ მოხერხდება და მათი შექმნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.

16.1.3 თუ წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების, №261 ნორმატიული აქტის ან სხვა პირობების შესაბამისად გეკუთვნით კომპენსაცია, ხოლო თქვენგან სხვა მითითება არ მიგვიღია, თანხას დაგიბრუნებთ მხოლოდ თქვენ. თანხის დაბრუნება სხვა პირისთვის, რომელიც თავს წარმოგვიდგენს ჯავშნის გამფორმებელპირად, შესაბამისი ჯავშნის (მათშორის, ჯავშნის კოდის) ან ჩვენ მიერ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გაცემული რომელიმე სხვა დოკუმენტის გამოყენებით (თუ არ გვექნება საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პირი არ არის ჯავშნის გამფორმებელი პირი), ჩაითვლება სათანადო ანაზღაურებად და გაგვათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ან/და ვალდებულებისგან, რომ დავაკმაყოფილოთ ჯავშნის გამფორმებელი პირის ან ნებისმიერი მგზავრის შემდგომი მოთხოვნები თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

16.1.4 როგორც წესი, თანხის ანაზღაურება ხორციელდება იმ ვალუტაში, რომელშიც გადახდილია ტრანსპორტირების ღირებულება. თუ ეს შეუძლებელია, გადახდა ევროში მოხდება.

#### **16.2. უფასომომსახურების მიღების უფლება**

16.2.1. თუ №261 ნორმატიული აქტის შესაბამისად გექნებათ უფასომომსახურების მიღების უფლება, ჩვენ უფასოდ შემოგთავაზებთ:

- a) საკვებს და სასმელს დაგვიანების პერიოდის განმავლობაში, მოცდის დროს თან გონივრულ თანაფარდობით;

- b) სასტუმროში დაბინავებას ან სასტუმროში დაბინავების ხარჯების ანაზღაურებას, როდესაც
  - საჭიროა ერთი ან მეტი დამითგაჩერება, ან
  - როდესაც გამგზავრების ადგილზე გჭირდება თიმაზე მეტი ხნით გაჩერება, ვიდრე განზრახული გქონდათ;

- c) ტრანსპორტს ან ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას აეროპორტსა და 16.2.1 ქვეპუნქტის ბ) ნაწილში აღნიშნულ დაბინავების ადგილს შორის (სასტუმრო ან სხვა) გადაადგილებისთვის.

დაგვიანებით გამოწვეული მოცდის პერიოდში თქვენ გექნებათ მხოლოდ 16.2.1 ქვეპუნქტის ა) ნაწილთ გათვალისწინებული მომსახურების მოთხოვნის უფლება.

16.2.1 ქვეპუნქტის ბ) და გ) ნაწილებით გათვალისწინებული მომსახურების დირექტული აგინაზღაურებათ გონივრული თანხის ფარგლებში, შესაბამისი ინვოის(ებ)ის საფუძველზე.

16.2.2. გარდა ამისა, ჩვენ შემოგთავაზებთ ორი სატელეფონო ზარის განხორციელების ან ტელექსით, ფაქსით თუ ელფოსტით შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობას, ან აგინაზღაურებათ ამგვარი კომუნიკაციისთვის გაღებულ დადასტურებულ ხარჯებს.

16.2.3. ჩვენ არ უზრუნველყოფთ 16.2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას, თუ ეს გამოიწვევს რეისის კიდევ უფრო მეტი ხნითდაყოვნებას.

**17. პასუხისმგებლობა**

**17.1. ზოგადი დებულებები**

17.1.1. ჩვენი პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობებით.

17.1.2. შესაბამის შემთხვევებში, Wizz Air-ის პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახის ზარალზე იზღუდება კონვენციისა და წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების დებულებებით. ჩვენ პასუხს ვაგებთ მხოლოდ იმ ზარალზე, რომელიც დადასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, ხოლო ჩვენი პასუხისმგებლობა არ უნდა აღემატებოდეს დამტკიცებულ ზარალს ოდენობას.

17.1.3. თუ დავამტკიცებთ, რომ ზარალი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიწვია იმ პირის გულგრილობამ, არასამართლებრივმა ქმედებამ ან უმოქმედობამ, რომელიც ითხოვს კომპენსაციას (ან სხვა პირის, რომლისგანაც მან მიიღო აღნიშნული უფლებები), ჩვენ სრულდ ან ნაწილობრივ ვთავისუფლებით პასუხისმგებლობისგან მომჩივანის წინაშე იმ ფარგლებში, რომელშიც ზარალს დადგომა დაკავშირებული იყო აღნიშნულ გულგრილობასთან, არასამართლებრივ ქმედებასთან ან უმოქმედობასთან. თუ მგზავრის გარდაცვალების ან ტრავმის გამო, კომპენსაციას ითხოვს მგზავრისგან განსხვავებული პირი, ჩვენ ასევე სრულდ ან ნაწილობრივ ვთავისუფლებით პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომელშიც ზარალი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებული იყო აღნიშნული მგზავრის გულგრილობასთან, არასამართლებრივ ქმედებასთან ან უმოქმედობასთან. ეს პირობა ვრცელდება თქვენ წინაშე ჩვენს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ყველ დებულებაზე.

- 17.1.4. ზემოთქმულ და ნ გამომდინარე, ჩვენ არ ვაგებთ პასუხს რაიმე სახის ზარალზე, რომელიც გამოწვეულია თქვენს ან თქვენი ბარგის მიერ. სხვა პირებისადმი ან მათი (მათ შორის, ჩვენი) საკუთრებისადმი მიყენებულ ნებისმიერ ზარალზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.
- 17.1.5. ტრანსპორტირების ხელშეკრულება, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობები და პასუხისმგებლობის გამონაკლისები და შეზღუდვები იმავე ზომით ვრცელდება ჩვენს თანამშრომლებზე, მოსამსახურეებსა და აგენტებზე, რა ზომითაც ვრცელდება ჩვენზე. ჩვენგან ან აღნიშნული პირებისგან ამოღებული თანხის მთლიანი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ჩვენი პასუხისმგებლობის ზედ ზღვარს, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების შესაბამისად.
- 17.1.6. თუ კონვენცია ან რომელიმე მოქმედი კანონმდებლობის სავალდებულო დებულებები არ ითვალისწინებს საწინააღმდეგოს, ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ხელიდან გაშვებულ სარგებელსა და პირდაპირ ან ირიბ ზარალზე.

**17.2. პასუხისმგებლობა ბარგზე**

- 17.2.1. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ზარალზე, რომელიც მიყენებულია რეგისტრირებული ბარგის დაზიანებით, განადგურებით, დაკარგვით ან დაგვიანებით, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაზიანების, განადგურების, დაკარგვის ან დაგვიანების გამომწვევი მოვლენა მოხდა თვითმფრინავის ბორტზე ან იმ დროის განმავლობაში, როცა რეგისტრირებული ბარგი Wizz Air-ის მეთვალყურეობის ქვეშ იყო.
- 17.2.2. ჩვენ პასუხს ვაგებთ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ბარგის ავიატრანსპორტირების დაგვიანებით, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ, ჩვენმა თანამშრომლებმა, მოსამსახურეებმა ან აგენტებმა არ მიიღეს ყველ ის ზომა, რომელიც გონივრულობის ფარგლებში საჭირო იქნებოდა აღნიშნულ დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ან ვერ დავამტკიცებთ, რომ ჩვენ ან მათ მიერ ამგვარი ზომების მიღება შეუძლებელი იყო.
- 17.2.3. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ზარალზე იმ ფარგლებში, რომელიც ის გამოწვეული იყო საკუთრივ ბარგის საწარმოო დეფექტით, ხარისხით ან წუნით. არარეგისტრირებული ბარგის, მათ შორის, პირადი ნივთების შემთხვევაში, ჩვენ პასუხს ვაგებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება გამოწვეულია ჩვენი ან ჩვენი თანამშრომლების ან მოსამსახურეების ბრალულობით.
- 17.2.4. ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ტრანსპორტირებისთვის დაუშვებელ ნებისმიერი ნივთის დაზიანებაზე, დაკარგვაზე, განადგურებასა და დაგვიანებაზე, ასევე ნებისმიერი სახის ბარგზე, რომელიც მიღებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის იარაღით, და პირობითი ტრანსპორტირების ნივთებზე, რომელთა ტრანსპორტირების შესახებაც არ გვეცნობა და ჯავშნისას ან რომელთა ტრანსპორტირებასაც არ დავთანხმდით.
- 17.2.5. ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას თქვენი ბარგის უმნიშვნელო გარეგან დაზიანებაზე (როგორც არის ნაკაწრები, დაბინძურება, ლქები, შენაჭყლუტები და ა.შ.), რომლებიც შეიძლება ბუნებრივი ცვლილების შედეგი იყოს.
- 17.2.6. ბარგის (მათ შორის, რეგისტრირებული ბარგის, არარეგისტრირებული ბარგის და პირადი ნივთების) დაზიანებაზე ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება 1131 SDR-

ით (სპეციალური სასესიო უფლება) ყოველ მგზავრზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მგზავრმა, რეგისტრირებულ ბარგის ჩვენთვის გადმოცემისას განაცხადა ბარგის დამატებითი ფასეულობის შესახებ და გადაიხადა დამატებითი თანხა (საჭიროების შემთხვევაში). აღნიშნულ შემთხვევაში, ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება დეკლარირებული თანხით, იმ შემთხვევის გარდა, თუ დავამტკიცებთ, რომ აღნიშნული თანხა აღემატება მგზავრისთვის ბარგის ფაქტობრივ ფასეულობას.

17.2.7. თქვენ ვალდებული ხართ, შეამოწმოთ, რომ თვითმფრინავიდან ჩასვლასას ბორტზე არ გრჩებათ რაიმე ნივთი. თუ ბორტზე რაიმე დაგრჩათ, გირჩევთ დავავშირდეთ აეროპორტის დაკარგულ და ნაპოვნი ნივთების დეპარტამენტს.

**17.3. პასუხისმგებლობა მგზავრის უბედური შემთხვევით გამოწვეულ გარდაცვალებაზე, ტრავმაზე და დაგვიანებაზე**

17.3.1. უბედური შემთხვევისას ჩვენი პასუხისმგებლობა მგზავრების გარდაცვალებაზე ან ტრავმებზე ექვემდებარება შეზღუდვებს, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადპირობებში. ჩვენ გვკავშირდება მკაცრი პასუხისმგებლობა 113 100 SDR-მდე, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც აღწერილია 17.1.3 ქვეპუნქტში.

17.3.2. ჩვენ შეიძლება მოვიხსნათ პასუხისმგებლობა მგზავრების გარდაცვალებასთან ან ტრავმირებასთან დაკავშირებულ იმ საჩივრებთან მიმართებაში, რომლებიც აღემატება აღნიშნულ ზღვარს, თუ შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ (i) ამგვარი ზიანი არ იყო გამოწვეული ჩვენი, ჩვენი თანამშრომლების ან მოსამსახურეების არასამართლებრივი ქმედებით, უმოქმედობით, თვითნებობით ან გულგრილობით, ან (ii) ამგვარი ზიანი გამოწვეული იყო მხოლოდ მესამე მხარის არასამართლებრივი ქმედებით, უმოქმედობით, თვითნებობით ან გულგრილობით.

17.3.3. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იმ ფიზიკური პირის ვინაობის დადგენის შემდეგ, რომელსაც ეკუთვნის კომპენსაცია, 15 დღის განმავლობაში ჩვენ მიერ შესრულება საავანსო გადახდა აღნიშნული პირის პირველხარისხოვანი ეკონომიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მის მიერ განცდილი მატერიალური გაჭირვების პროპორციულად. გარდაცვალების შემთხვევაში, აღნიშნული გადახდა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 16 000 SDR-ს ყოველ მგზავრზე. საავანსო გადახდა არ უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლობის აღიარებად და შეიძლება გაიქვიტოს რომელიმე შემდგომი შეთანხმებისას.

17.3.4. საავანსო გადახდა არაანაზღაურებადია, თუ ჩვენ მიერ არ დამტკიცდება, რომ:

- a) ზარალი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოწვეული იყო ტრავმირებულ ან გარდაცვლილ მგზავრის მიერ;
- b) პირს, რომელმაც მიიღო საავანსო გადახდა, არ ეკუთვნოდა კომპენსაცია, ან ზარალი გამოწვეული იყო აღნიშნული პირის მიერ.

17.3.5. მგზავრთა გადაყვანის დაგვიანებით გამოწვეული ზარალს შემთხვევაში, ჩვენი პასუხისმგებლობა თითოეული მგზავრის მიმართ შემოიფარგლება 4694 SDR-ით.



**17.4. პრეტენზია კომპენსაციის მიღებაზე ნორმატიული აქტი №261-ის შესაბამისად**

- 17.4.1. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულების მიუხედავად, №261 ნორმატიული აქტის შესაბამისად კომპენსაციის მიღებაზე პრეტენზიების ჩვენ მიერ დამუშავების პროცესი და რეგულირდება ამ პუნქტით.
- 17.4.2. №261 ნორმატიული აქტის შესაბამისად კომპენსაციაზე პრეტენზიის წარდგენა მგზავრს თქვენი სახელთ შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ და მგზავრი მითითებულ ხართ ერთსა და იმავე ჯავშანში, რომელთან დაკავშირებითაც აცხადებთ პრეტენზიას კომპენსაციის მიღებაზე. ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ სათანადო დასტური იმისა, რომ მეორე მგზავრი თქვენი ნდობით აღჭურვილი პირია, რომელიც პრეტენზიას თქვენი სახელთაცხადებს.
- 17.4.3. ნორმატიული აქტი №261-ით გათვალისწინებულ კომპენსაციაზე პრეტენზია უნდა განეცხადოს უშუალოდ Wizz Air-ს ვებგვერდის მეშვეობით. თქვენს პრეტენზიაზე პასუხს ჩვენ გან პრეტენზიის განცხადებიდან 30 დღის განმავლობაში მიიღებთ პირადად თქვენ.
- 17.4.4. თქვენი და თქვენი უფლებების დასაცავად, როცა მგზავრი ან ჯავშნის გამფორმებელი პირი არ შეასრულებს ქვეპუნქტში 17.4.3 განმარტებულს, მესამე მხარის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებს Wizz Air და დამუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრეტენზია შეიცავს მგზავრის საკონტაქტო და ანგარიშის მონაცემებს, რომელთა მეშვეობითაც Wizz Air უშუალოდ მგზავრს გადაუხდის.
- 17.4.5. 17.4.2 ქვეპუნქტში აღნიშნული შემთხვევების გარდა, ჩვენ არ დავამუშავებთ კომპენსაციაზე მესამე მხარის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებს, თუკი მათთან დაკავშირებული არ ექნება სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ მესამე მხარე აღჭურვილია თქვენი სახელთ მოქმედების უფლებამოსილებით, სამოქალაქოსა პროცესოლოგიის მუხლო 325-ის შესაბამისად. § პუნქტით გათვალისწინებული სრული დამატკიცებელი ძალის მქონე კერძო-სამართლებრივი დოკუმენტის სახით.
- 17.4.6. მეტი სიცხადისთვის განვმარტავთ, რომ წინამდებარე 17.4 პუნქტის არცერთი დებულება არ ზღუდავს თქვენს უფლებას, ან არ გიკრძალებს, გაიაროთ იურიდიული კონსულტაცია უშუალოდ ჩვენთვის პრეტენზიის წარდგენამდე.
- 17.4.7. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების მიღებით, თქვენ ღია დეტანხმებით, რომ ნებისმიერსა კომპენსაციითანხა გადაირიცხება თქვენს ბარათზე, რომელიც დაჯავშნისას გამოიყენეთ, ან ჯავშანში მითითებულ მგზავრის საბანკო ანგარიშზე. Wizz Air-მა შეიძლება მოითხოვოს იმის მტკიცებულება, რომ საბანკო ანგარიში ნამდვილდეკლარაციის შესაბამის მგზავრს.
- 17.4.8. ცესიის შემთხვევაში Wizz Air არ იქნება ვალდებული, ცესიონარს გადაუხადოს რაიმე თანხა, თუ არ იქნება დაკმაყოფილებული შემდეგი პირობები:
- A) Wizz Air-მა უნდა მიიღოს წერილობითი უწყება ცესიის შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება დათმობილი მოთხოვნები (მინიმუმ ჯავშნის ნომერი, ცესიის

საფუძველი და ვადა). უწყება ხელმოწერილი უნდა იყოს ცედენტის მიერ, ან მას დართული უნდა ჰქონდეს უფლების გადაცემის აქტი (ორიგინალი ან დამოწმებული ასლი); და

B) Wizz Air-მა უნდა მიიღოს აღსრულების წერილობით ინსტრუქცია, სამოქალაქო კოდექსის 6:198 პუნქტის შესაბამისად. თუ ცესიის შესახებ უწყება არ იქნება გადმოგზავნილი ცედენტის მიერ, ან თუ Wizz Air-ისთვის არ იქნება მიწოდებული უფლების გადაცემის აქტი, აღსრულების ინსტრუქცია ხელმოწერილი უნდა იყოს ცედენტის მიერ, ან მას დართული უნდა ჰქონდეს უფლების გადაცემის აქტი.

წინამდებარე 17.4.8 ქვეპუნქტის ფარგლებში, წერილობითი უწყება /აღსრულების ინსტრუქცია ითვლება უწყებად, რომელიც გაფორმებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 325. § პუნქტით გათვალისწინებული სრული დამატკიცებელი ძალის მქონე კერძო-სამართლებრივი დოკუმენტის სახით.

17.4.9. Wizz Air-ის მიერ ცესიასთან დაკავშირებით გაღებული ხარჯების დასაფარად Wizz Air-ს დაწესებული აქვს ცესიის ადმინისტრაციული მოსაკრებელი ყოველი მგზავრის დათმობილი უფლებებისთვის, რომლის ოდენობაც პერიოდულ დქვეყნდება ვებგვერდზე. ცედენტი და ცესიონარი ერთობლივად და ცალცალკე აგებენ პასუხს ცესიის მოსაკრებლისა და ცესიიდან გამომდინარე დამატებით ხარჯების გადახდაზე, სამოქალაქო კოდექსის

6:200 § პუნქტის შესაბამისად. Wizz Air-ს უფლება აქვს, გამოქვითოს ცესიის მოსაკრებელი თქვენთვის ან ცესიონარისთვის განკუთვნილი ნებისმიერი თანხიდან.

17.4.10. თქვენი სახელთ მოქმედი მგზავრისთვის კომპენსაციის გადახდა ითვლება სათანადო კომპენსაციად და გვათავის უფლებს პასუხისმგებლობისგან და თქვენი მხრიდან კომპენსაციის მიღებაზე ნებისმიერი დამატებითი პრეტენზიებისგან.

## **18. დროული უწყება საჩივრების შესახებ, სარჩელს ხანდაზმულობა**

### **18.1. ბარგის დაზიანება**

18.1.1. ბარგის მიღება, საჩივრის შემოტანისა და საკუთრების დაზიანების ანგარიშის (შემდგომში „ანგარიში“) შევსების გარეშე, ითვლება საბუთად, რომ ბარგი ჩაგზარდათ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში და ტრანსპორტირების ხელშეკრულების დაცვით.

18.1.2. თუ თქვენი ბარგი არ ჩამოვიდა იმავე რეისით, რომლითაც თქვენ იმგზავრეთ, და უყოვნებლივ განაცხადეთ ამის შესახებ ანგარიშის შევსებით სატრანზიტო ზონის დატოვებამდე. თუ აღნიშნულ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებთ, ჩვენ გავთავის უფლებით პასუხისმგებლობისგან.

18.1.3. თუ თქვენი რეგისტრირებული ბარგი დაზიანებული ან ნაკლებ მდგომარეობაშია, და უყოვნებლივ განაცხადეთ ამის შესახებ ანგარიშის შევსებით სატრანზიტო ზონის დატოვებამდე. თუ დაზიანების ან ქურდობის ფაქტის დადენა რეგისტრირებული ბარგის მიღებისას შეუძლებელი იყო, ამის შესახებ უნდა განაცხადოთ აეროპორტში ბარგის მიღებიდან 7 დღის განმავლობაში.

18.1.4. თუ თქვენი რეგისტრირებული ბარგი არ ჩამოვიდა იმავე რეისით, რომლითაც თქვენ იმგზავრეთ, და ის მიიღეთ დაზიანებულ

მდგომარეობაში, ან მას აკლავს რაიმე ნივთი, დაზიანების ან ქურდობის შესახებ წერილობით უნდა განაცხადოთ ბარგის ჩაბარებიდან 21 დღის განმავლობაში. თუ ჩვენ ვაღიარებთ თქვენი რეგისტრირებული ბარგის დაკარგვას, ან თუ თქვენი რეგისტრირებული ბარგი არ ჩამოვიდა ჩამოსვლს და გეგმილ დღიდან 21 დღის განმავლობაში, თქვენ უფლება გაქვთ, იმუშაოთ ა დასრულოთ თქვენი უფლებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

- 18.1.5. თუ თქვენს არარეგისტრირებულ ბარგს ან პირად ნივთს რაიმე ზიანი მიაღება, ამის შესახებ უნდა განაცხადოთ თვითმფრინავის ბორტზე. თუ აღნიშნულ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებთ, ჩვენ გავთავისუფლებით პასუხისმგებლობისგან.
- 18.1.6. თუ ჩვენ მიერ თქვენი ბარგის საჰაერო ტრანსპორტირებისას მას მიაღება რაიმე სახით ზიანი, თქვენ უნდა შეაკეთებინოთ ბარგი, მიიღოთ შესაბამისი ქვითრები და გამოგვიგზავნოთ ისინი ჩვენ. თუ თქვენი ბარგი არ ექვემდებარება შეკეთებას, შემკეთებელ კუნქტისგან უნდა მიიღოთ შესაბამისი წერილობითი დასტური თქვენი ბარგის მარკისა და ღირებულების მითითებით.
- 18.1.7. საჩივარი უნდა შემოიტანოთ წერილობით, თითოეული შემთხვევისთვის, და ნიშნულების ადგილზე ჩასვლს შემდეგ და თან დაურთოთ PIR და თქვენი პრეტენზიის დამადასტურებელი ყველ დოკუმენტი.
- 18.1.8. თუ ზემოაღნიშნული დროის ფარგლებში საჩივარი შემოტანილი არ არის, სარჩელს არ წარგვედგინებთ.

## **18.2. საჩივრები**

- 18.2.1. საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საჩივრები (ბარგის შესახებ საჩივრების გარდა) უნდა წარადგინოთ წერილობით, რაც შეიძლება მოკლე დროში იმ რეისის ჩამოფრენის შემდეგ, რომელსაც უკავშირდება თქვენი საჩივარი, მაგრამ საჩივრის გამომწვევი გარემოებების აღმოჩენიდან არა უგვიანეს 2 თვისა. ნებისმიერ დანაკარგზე ან ზარალზე, რომელსაც გამოიწვევს საჩივრის წარდგენის დაგვიანება, პასუხისმგებელი თქვენ ხართ. ყველ საჩივრის განხილვა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დღეს მოქმედი ტრანსპორტირების ზოგადი პირობების შესაბამისად.

## **18.3. სარჩელს ხანდაზმულობა**

- 18.3.1. თქვენი უფლება, წარმოადგინოთ ნებისმიერი სახის პრეტენზია ჩვენ წინააღმდეგ (№261 ნორმატიული აქტის შესაბამისად კომპენსაციის მიღების ჩათვლით), შეწყვეტს მოქმედებას, თუ არ მიიღებთ არანაირ ზომას და ნიშნულების ადგილზე ჩასვლს დღიდან, და ნიშნულების ადგილზე თვითმფრინავის დაგეგმილ ჩასვლს დღიდან ან ტრანსპორტირების შეწყვეტის დღიდან 2 წლის განმავლობაში.

## **19. ჩარტერული ტრანსპორტირების წესები**

*დადგენილების 3. § (3)*

- 19.1. ჩარტერულ რეისებთან დაკავშირებით, წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების დებულებები იმოქმედებს ქვემოთგანმარტებული განსხვავებებით.
- 19.1.1. ჩვენ მიერ განხორციელებულ ჩარტერულ ტრანსპორტირებაზე ვრცელდება შემდეგი პირობები:

- a) ხელშეკრულების პირობები და თქვენი მგზავრობის გეგმაში მითითებული სხვა განაცხადები, რომელთა შესახებაც გაუწყებთ ზეპირი ფორმით, ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით და ჯავშნის შემთხვევაში;
  - b) წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობები;
  - c) კონვენციის დებულებები;
  - d) მარეგულირებელი კანონმდებლობა;
  - e) ჩართული შეთანხმების პირობები.
- 19.1.2. ტურისტული აგენტი, რომელიც ორგანიზებას უწევს თქვენს ჩართულ რეისს, ვალდებულია, გააცნოს ტრანსპორტირების პირობები. ტურისტული აგენტის მიერ არასათანადოდ მოწოდებული ინფორმაციით გამოწვეულ ყოველგვარ ზარალზე პასუხისმგებლობა ეკისრება ტურისტულ აგენტს.
- 19.1.3. თქვენი ჯავშანი ფორმდება ტურისტული აგენტის მიერ, რომელმაც უნდა მოგაწოდოს ჯავშნის კოდი.
- 19.1.4. მარშრუტის შეცვლა ნებადართული არ არის. თქვენს ჯავშანში დროის შეცვლას, სხვა პირისთვის გადაცემისა და გაუქმების (მათ შორის, ოჯახის უშუალო წევრის გარდაცვალების გამო) წესები განისაზღვრება თქვენი ტურისტული სააგენტოს მიერ, ჩვენთან გაფორმებულ ჩარტერის ხელშეკრულების შესაბამისად.
- 19.1.5. ჯავშნის გაფორმებისას თქვენ უნდა შეატყობინოთ ტურისტულ სააგენტოს თქვენი ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვის, მოძრაობის შეზღუდვის, სერიოზული ან გადამდები დაავადებებისა და ნებისმიერი სხვა მდგომარეობის შესახებ, რომელიც საჭიროებს სამედიცინო მეთვალყურეობას. თუ გამგზავრებისას ან ჩამოფრენისას თქვენი ფეხმძიმობის ვადა შეადგენს 28 კვირაზე მეტს, ამის შესახებ უნდა აცნობოთ ტურისტულ სააგენტოს და ჯავშნის დღეს და წარუდგინოთ სამედიცინო ცნობა. თქვენი ტურისტული აგენტი ვალდებულია, მოგვაწოდოს თქვენგან მიღებული ინფორმაცია და წარმოგვიდგინოს თქვენი სამედიცინო ცნობა. თუ ტურისტული სააგენტო არ დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, თქვენს ტრანსპორტირებაზე უარით გამოწვეულ ზარალზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ ტურისტული სააგენტო.
- 19.1.6. თუ განსაკუთრებული ბარგის ან პირობითი ტრანსპორტირების ნივთების გადატანა გასურთ, ამის შესახებ უნდა აცნობოთ თქვენს ტურისტულ აგენტს. თქვენი ტურისტული აგენტი ვალდებულია, წარმოგვიდგინოს თქვენი მოთხოვნა (იხ. პუნქტი 14.4). თუ ტურისტული სააგენტო არ დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, ჩვენთვის ინფორმაციის მოუწოდებლობით გამოწვეულ ზარალზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ ტურისტული სააგენტო.
- 19.1.7. წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობების 6.3 პუნქტი და მე-7 მუხლი არ ვრცელდება ჩართულ ტრანსპორტირებაზე.
- 19.1.8. საჩივრები და პრეტენზიები (მათ შორის, ბარგთან, განრიგის ცვლილებასთან, რეისის დაგვიანებასთან, გაუქმებასთან ან კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული საჩივრები) უნდა წარუდგინოს თქვენს ტურისტულ აგენტს წერილობითი ფორმით. ამასთანავე მოქმედებს ვადის ყველ შეზღუდვა, რომელიც განსაზღვრულია მე-18 მუხლში.
- 19.1.9. ტურისტული სააგენტო, რომელიც ქირობს თვითმფრინავს ჩართული ტრანსპორტირებისთვის, ეკისრება ყველ ხარჯი, რომელიც გამოწვეულია ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

- 19.1.10. რეისებზე ზედმეტი ადგილების დაჯავშნით გამოწვეული ყველ ხარჯი ეკისრება ტურისტულ სააგენტოს, რომელიც ქირაობს თვითმფრინავს ჩარტერულ ტრანსპორტირებისთვის.
- 19.1.11. თუ თქვენ მიიღებთ თანხის ანაზღაურების უფლებას, ჩვენ მას გადავუხდით ტურისტულ სააგენტოს, ხოლო შესაბამისი პრეტენზიით უნდა მიმართოთ ტურისტულ სააგენტოს წერილობითი ფორმით.

**20. კონფლქტური სიტუაციის აღტენა ტიულო გადაწყვეტა**

- 20.1. თუ თქვენს საჩივარზე პასუხი არ დაგაკმაყოფილებთ, ზოგიერთ ქვეყანაში შეგიძლიათ საჩივარი გადასცეთ დავების არასასამართლო გზით მოგვარების ორგანოს. უნგრეთში საჩივარი შეგიძლიათ შეიტანოთ შემრიგებელ ორგანოში, რომელიც დაფუძნებულია საოლქოსავაჭრო-სამრეწველო პალატების მიერ (<http://www.bekeltetes.hu/index.php?id=testuletek>). გაერთიანებულ სამეფოში კომპეტენტური ორგანო არის საცალო ვაჭრობის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახური (საკონტაქტო ინფორმაცია: [www.theretailombudsman.org.uk](http://www.theretailombudsman.org.uk), ელფოსტა: [aviation@theretailombudsman.org.uk](mailto:aviation@theretailombudsman.org.uk), ტელ: 44 (0) 203 540 8063). დავების არასასამართლო გზით მოგვარების ორგანოები უფასოდ სთავაზობს მგზავრებს დავების მოგვარების დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ საშუალებებს. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს.
- 20.2. საჩივრის შეტანა შეგიძლიათ ევროკომისიის დავების ონლაინ მოგვარების პლატფორმის მეშვეობითაც, მისასამართზე: <http://ec.europa.eu/consumers/odr/> (ODR). ODR-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე.

**21. კანონმდებლისა და იურისდიქციის არჩევა**

- 21.1. თუ კონვენცია ან მოქმედი კანონმდებლის რომელიმე სავალდებულო დებულება არითვალსწინებს საწინააღმდეგოს:
- a) წინამდებარე ტრანსპორტირების ზოგადი პირობები და ნებისმიერი ტრანსპორტირება, რომლის უზრუნველყოფაზეც თქვენთან შევთანხმდით (თქვენთან ან/და თქვენს ბარგთან მიმართებაში), რეგულირდება უნგრეთის კანონებით; და
  - b) თქვენსა და ჩვენს შორის ნებისმიერი დავა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოძინარეობს აღნიშნულ ტრანსპორტირებასთან, დაექვემდებარება უნგრეთის სასამართლოების არაექსკლუზიური იურისდიქციას. „არაექსკლუზიური იურისდიქცია“ ნიშნავს, რომ ჩვენს წინააღმდეგ საჩივრის შეტანა შეგიძლიათ უნგრეთის სასამართლოების განგანსხვავებული იურისდიქციაშიც.